# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 31 მარტი 1998 №47 (582) · ფასი 40 თეთრი


## ქინქლაძე წავიდა!

საქართველოში იმდენჯერ არც ერთი გუნდი არ დაშლილა და აღორძინებულა, რამდენჯერაც ეს რკინიგზელთა „ლოკომოტივმა“ მოახერხა. ჯერჯერობით კიდევ ბურთაობს და პირველი ჯგუფის საშუალო გუნდად რჩება. მოკლედ, „ლოკომოტივს“ საფრთხე არსაიდან ემუქრება. აი, მათი პრეზიდენტი რობიზონ ქინქლაძე კი...

გუნდი ბოლოჯერ რომ შეკოწიწდა და ფაქტობრივად ქუჩიდან აყვანილი ბიჭებით მეორე ჯგუფიდან პირველში ამაღლდა, ქინქლაძის დამსახურება გახლდათ. ამ კაცმა გუნდი კარგა ხანი შეინახა, რა თქმა უნდა, რკინიგზის ხელისუფალთა დახმარებით. მარტო ის რად ღირს, ორმოცამდე დავაჟკაცებული თუ მოზარდი ფეხბურთელი დასაქმებული რომ იყო. მოკლედ, უფროსმა ქინქლაძემ მაშინ კარგ საქმეს ჩაუყარა საძირკველი.

საყოველთაოდ აღიარებული ნათქვამია, ფულს ვინც გადაიხდის, მუსიკასაც ის შეუკვეთავსო. ჰოდა, რაკი რკინიგზის უფროსობამ თავი ერთადერთ გადამხდელად დაიგულა, რობიზონ ქინქლაძეს მოსთხოვა, პრეზიდენტობიდან გადადექიო. სხვა გზა არც იყო, ქინქლაძე გადადგა და სავარძელი რკინიგზის დეპარტამენტის თავჯდომარეს აკაკი ჩხაიძეს დაუთმო. ამიერიდან „ლოკომოტივს“ ის უთავკაცებს.

როგორც ირკვევა, ქინქლაძე გუნდიდან მთლად არ წასულა. ყოველ შემთხვევაში, მაისამდე დარჩებაო, ამბობენ.

რობიზონ ქინქლაძე პირველი ჯგუფის რიგით მეექვსე გუნდის თავკაცი გახლავთ, რომელიც ამ სეზონში პოსტს დაეთხოვა.



რობიზონ ქინქლაძე „ლოკომოტივს“ გაეყარა

— თავი ფეხბურთელად წარმომიდგენია, უფრო კონკრეტულად კი ცენტრალურ თავდამსხმელად. ფორვარდს გოლების შეგდება სწყურია, მაგრამ ვინმემ თუ პასი არ მისცა, ისე ვერაფერს გახდება. მე მინდა ფეხბურთისთვის სასიკეთო საქმეები ვაკეთო, მაგრამ თუ გვერდში არავინ დამიდგა, ვერაფერს გავხდები. ფეხბურთელთა გუნდს მოგების სურვილი ამოძრავებს. მე, როგორც ერთ-ერთი მათგანი, იგივე აზრზე ვდგევარ. უბრალოდ, არ შემიძლია ერთ ადგილზე ვიყო და ველოდო, ვინ როდის დამამარცხებს — ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა წამით წარმოიდგინა, რომ ფეხბურთელია და ემოციებს აჰყვა, თუმცა მოგვიანებით მიხვდა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთში მოღვაწე ჩინოვნიკია და არა სპორტსმენი.

გუშინ ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატთა სიას კიდევ ერთი პერსონა შეემატა — მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გენერალური მდივანი, შვეიცარიელი ზეპ, ერისკაცობაში კი იოზეფ ბლატერი. ზემოხსენებული ორგანიზაციის პრეზიდენტის, ჟოაო ავერანჟის მარჯვენა ხელმა გუშინ პარიზში გამართულ სხდომაზე თავისი კანდიდატურა ოფიციბურთის ფედერაციებმა, პარიზში ფიფას გენერალური მდივნის სახელზე წერილი აფრინეს, მხარს გიჭერთო.

ასეც ასე. ბლატერმა წინასაარჩევნო კამპანია წარმატებით დაიწყო, რამდენიმე ფედერაციის გულიც მოიგო, ეგ კი არა, უდიდეს რეკლამასაც გამოჰკრა ხელი, როცა მისი საქციელით აღფრთოვანებულმა მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მიშელ პლატინიმ შემდეგი განაცხადა:

— იოზეფი დიდებული პიროვნებაა, საკმაოდ განათლებული და, რაც მთავარია, ნამდვილი პროფესიონალი. ვფიქრობ, აველანჟის თანამდებობისთვის იგი იდეალური კანდიდატურა იქნება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბლატერის ხელმძღვანელობის პერიოდში ფეხბურთის განვითარება არა თუ შენელდება, პირიქით, ერთი ორად დაჩქარდება. ერთი სიტყვით, პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და ბლატერი აველანჟის რეალურ მემკვიდრედ მესახება.

დაწყებაც ამას ჰქვია: მხარდამჭერთა დიდი არმია, უფასო რეკლამა საფეხბურთო ავტორიტეტებისგან. კაცმა რომ თქვას, 62 წლის ბლატერმა არჩევნების დასაწყისისთვის უკეთესი რა უნდა ინატროს? ზე-

## იოზეფ ლენარტომეშსრავი



ბლატერის (მარჯვნივ) და პლატინის ალიანსი იუჰანსონს ებრძვის

ალურად წამოაყენა და ის ნაბიჯი გადადგა, რომლისაც უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს ასე ძალიან ეშინოდა.

— ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი სპორტთან, უფრო კი ფეხბურთთანაა დაკავშირებული. თითქმის სამი ათეული წელია, ფიფაში ვსაქმიანობ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვნახე — აღმაფრენაც, იშვიათად, მაგრამ ჩავარდნაც, საბოლოოდ კი ჩემმა გამოცდილებამ მაფიქრებინა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი გავმხდარიყავი. შეიძლება ამას არც უნდა ვამბობდე, მაგრამ აბა მითხარით, განა ჩემსავით ფიფას, ან ამდაგვარ ორგანიზაციის საქმიანობაში დაბერებული კაცი კიდევ ბევრი მოიძებნება? ვფიქრობ, არა — რაც დრო გადის, ბლატერს უფრო და უფრო ულვივდება ფიფაში პირველ კაცად გახდომის სურვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, იგი გარკვეულწილად კონკურენტ იუჰანსონს ემსგავსება.

...რამდენიმე დღის წინ, ბლატერის სახით კონკურენტის გაჩენით მდგომარეობიდან გამოსულმა უეფას თავკაცმა ისეთი რამ განაცხადა, მისი თანამდებობის კაცს რომ არ შეშვენის — იუჰანსონმა ბლატერს აველანჟის გოშია უწოდა. "როგორ ფიქრობთ, რა უპასუხა ბლატერმა მის გამოხტომას — მეტოქის დარად ბილწსიტყვაობისთვის არ მიუმართავს, უბრალოდ განაცხადა, ამხელა კაცი თუ ამას იკადრებდა, ვერ წარმოვიდგენდიო. ბლატერის ლანძღვით ხალხის და ამომრჩეველთა თვალში მხოლოდ შეურაცხყოფილმა მოიგო და არა იუჰანსონმა — გუშინვე ბრაზილიის, ავსტრალიის და აშშ-ს ფეხმოთ ვთქვით, რაც უფრო ახლოვდება ფიფას პრეზიდენტის არჩევნები, ბლატერი საქციელით იუჰანსონს სულ უფრო ემსგავსებაო. ეს ლიტონი სიტყვები სულაც არ გახლავთ.

იცით, ბლატერმა რა განაცხადა თავისი კანდიდატურის ოფიციალურად წამოყენების პირველ დღეს? — არჩევნებში მონაწილეობას კი მივიღებ, მაგრამ ფიფას გენერალური მდივნის თანამდებობიდან არაფრისდიდებით არ გადავდგებიო:

— ჯერჯერობით ჩემი მოვალეობა მაქვს — მე ფიფას გენერალური მდივანი გახლავართ. როგორ ფიქრობთ, ეს პატარა თანამდებობაა? რა თქმა უნდა, არა. ამგვარ დიდ ორგანიზაციაში ასეთ საპასუხისმგებლო ადგილზე ყოფნა საკმაოდ რთულია მე კი ახლა ორ სხვადასხვა სარბიელზე ვასპარეზობ. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული გაზაფხული იქნება ჩემს ცხოვრებაში. სიბერის ჟამს ასეთი დატვირთვა ძალიან ძნელია. შემიძლია, არჩევნების პერიოდში ფიფას გენერალურ მდივნობას დროებით შევეშვა, მაგრამ ასე არ მოვიქცევი. აქამდე პატიოსნად გავრჯილვარ და ახლა რა ღმერთი უნდა გამიწყრეს, უპასუხისმგებლოდ რომ მოვიქცე? არა, ერთი საქმისთვის მეორის გაწირვა არ ივარგებს. თანაც კონკურენტები ამას ათას კუდს გამოაბამენ, მერე კი მიდექი და უყარე კაკალი.

--გუშინ გვიან ღამით პარიზიდან ცნობა მოვიდა, ლენარტ იუჰანსონი ჟურნალისტებთან შეხვედრას და გულისნადების გაზიარებას აპირებსო.

შეიცვლის აზრს მხცოვანი შვედი?

## ლობანოვსკი

### ცოტას ლაპარაკობს, ბევრს აკეთებს და კალაძეს ლიბეროდ გვიმზადებს

არაერთხელ თქმულა, ეროვნული გუნდი ლიბეროების მწვავე დეფიციტს განიცდის. ერთი შეხედვით ამ ამპლუის სტაბილური მოთამაშე მხოლოდ კახა ცხადაძეა, დანარჩენები კი თავისუფალ მცველად ოდენ კონკრეტული მატჩისთვის ემზადებიან ხოლმე. ხან ვინ გამოიცდება უკანა მცველად და ხან ვინ. ეს ისეთი პრობლემაა, რომლის გადაჭრაც სასწრაფოდაა საჭირო, თორემ შესარჩევი მატჩები უკვე კარსაა მომდგარი.

ყოველივე ტყუილუბრალოდ როდი ვთქვით. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რა გუნდია კიევის „დინამო“, ვალერი ლობანოვსკის ამბავიც გეცოდინებათ — რა მწვრთნელიცაა, უკრაინელთა ბოლოდროინდელმა წარმატებებმაც დაადასტურა. ჰოდა, როცა კახა კალაძემ გვითხრა, ლობანოვსკიმ უკანასკნელ ორ თამაშში ლიბეროდ გამამწესაო, ერთი მხრივ გვესიამოვნა კიდეც, ეგებ კლუბში პრაქტიკაგავლილი ნაკრებისთვის სასარგებლოდ გაისარჯოსო, ვიფიქრეთ. არა, კიეველთა გუნდი არც ეტალონია, არც ვისიმე ან რისიმე საზომი ერთეული. ჩვეულებრივი ხელშეწყობილი გუნდია, სადაც ყველამ თავისი საქმე იცის. ლობანოვსკი კი ისეთია, დაუმსახურებლად არავის ათამაშებს, მით უმეტეს, იმ პოზიციაზე, სადაც ერთი შეცდომაც საბედისწეროა. ჩვენ რაღა გვაქვს საწინააღმდეგო. კიეველთა მწვრთნელს ხომ თავისი საქმისა ყველაზე უკეთ ესმის. ათამაშოს კახა, გონივრულად დაარიგოს, ვინძლო კალაძის დარი ლიბერო საქართველოში მეორე არ ბურთაობდეს. ამას დრო აჩვენებს, დრო და კახა კალაძის შრომაგარჯა, რომელმაც თავის ლიბეროობის ამბავს ეს დაამატა:

— ჯერ კიდევ უკრაინის ჩემპიონატის განახლებამდე მივხვდი, ლობანოვსკი ადგილის შეცვლას რომ მიპირებდა. მოსამზადებელი პერიოდისას სხვადასხვა პოზიციებზე გამსინჯა, წინაც მათამაშა, უკანაც, ფლანგზეც და პერსონალურ მეურვედაც შემავლო თვალი. დაიწყო მეორე წრე თუ არა, გოლოვკოს სტოპერობა დაავადა, მისი ადგილი შენ უნდა დაიკავოო, მითხრა. რაღა დამრჩენოდა, ვითამაშე. თავიდან გამიჭირდა, თან საკმაოდ ვნერვიულობდი, ლვოვში ვთამაშობდით, 40 ათასი ქომაგის თვალწინ. ჩვენი მატჩებისას მუდამ ასეა, მოკლედ, მთლად მშვიდად ვერ ვგრძნობდი თავს. აი, მეორე შეხვედრისას კი, „ჩერნომორეცთან“, ყველაფერი დალაგდა, თავის ადგილას დადგა, წარბიც არ შემიხრია, წყნარად ვასრულებდი ჩემს ფუნქციას. როგორც ჩანს, მწვრთნელიც კმაყოფილია, თამაშების მერე მადლობაც გადამიხადა. ჯერჯერობით ასეა, ლობანოვსკი სტიმულს მაძლევს. უნდა გავუმართლო.

— **ის თამაში ლვოვში წააგეთ. „იუვენტუსმა“ იმოქმედა?**

— არა, უბრალოდ, ორჯერ შემოგვიტიეს და ორივე გოლით დაასრულეს. ისე, ცენტრის ხაზს არ გადმოცილებიან.


იხილეთ მეორე გვერდი




მარსელო რიოსი

## პირველი ჩილელი პირველი

### მარსელო რიოსმა პიტ სამპრასი დაამხო

გუშინ ცივილიზებულ დროსთან მიახლოებულ თბილისში ნაშუაღამევის ორი საათი რომ გახდა, მზიან და ზღვიან კი ბისკეინში ჩია ჩილელმა მარსელო რიოსმა ამერიკელთა ყოჩი ანდრე აგასი გააწბილა ლიპტონის ჩემპიონატის ფინალში, მეხუთე დიდ სლემად წოდებული პირველობა მოიგო და საჩოგბურთო კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის 102-კვირიან ბატონობასაც მოუღო ბოლო. ორშაბათიდან ჩოგბურთის „ცუდ ბიჭად“ შერაცხული მარსელო ჩოგბურთის პირველ ბიჭად იქცა, პირველი — სამხრეთ-ამერიკელთა, მეოთხე — ცაციათა შორის. და თუ ასე გააგრძელა, ალბათ ამ ადგილს კარგა ხნით შერჩება კიდეც.


იხილეთ მერვე გვერდი

ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში გიორგი დემეტრაძის „ფეიენოორდმა“ შინ აუტსაიდერი „ვოლენდამი“ რომ გაანადგურა, მაშინვე ვცადეთ, როტერდამს დავკავშირებოდით, მაგრამ დემე ვერაფრით მოვიხელთეთ. თამაშის მერე თანაგუნდელებთან შეყოვნდა და შინ გვიან მივიდა. სხვათაგან განსხვავებით კი, გიორგის მობილური ტელეფონით სარგებლობა არ შეუძლია. როგორც გუშინ გვითხრა, კონტრაქტის ერთ-ერთი პირობა ასეთი ყოფილა. შემდეგ საუბარიც ჩვეულებრივ გავაგრძელეთ:

## დემეტრაძეს ლაპარაკს უკრძალავენ

**— მოგებულ თამაშში შენი წვლილი როგორია?**

— ფაქტობრივად, არანაირი. ეტყობა, ტაქტიკური მოსაზრება ჰქონდა ლეო ბეენჰაკერს ასეთი, ბოლო თხუთმეტი წუთი მათამაშა. ერთი კარგი პასის გაკეთება კი მოვასწარი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა რუბენ ნელისმა გარჯა წყალში ჩაიყარა.

**— რაო, რატომ არ გათამაშეო, მწვრთნელმა?**

— ხომ იცით, აქამდე ყველა ტურში ძირითადში მაყენებდა, ვუმართლებდი კიდეც. ახლა სხვაგვარად მოიქცა. ყველაფერი მისი გადასაწყვეტი არაა? საუბრით არ გვისაუბრია. საგანგაშო არაფერია, ბენჰაკერი შემადგენლობას ხშირად ცვლის.

**— ძველებურ ფორმაში ხარ?**

— კი, შეცვლაზე თამაში უფორმობას რომ დავაბრალო, არ შეიძლება. კარგად ვარ, განსაკუთრებით ფიზიკურად მოვუმატე. ამას რომ ვამბობ, საბაბიც მაქვს. ჩემს თავს მუდამ კრიტიკულად ვუყურებ, სხვებს რაც ჩემში მოსწონთ, იმას თავად არასდროს დავუჯერდები. მეტი მსურს. ფიზიკაზეც ამად ვთქვი. დარწმუნებული ვარ, გაცილებით მოვლონიერდი. თუმცა იდეალურამდე ჯერ კიდევ მიკლია. სხვათა შორის, ამას წინათ მწვრთნელმაც შემაქო.

**— კიდევ კორნეევი გთარჯიმნობს?**

— ნელ-ნელა ვისწავლე ინგლისურ-



გიორგი დემეტრაძე

ჰოლანდიური. ხოლო რაც არ მესმის, კორნეევი მითარგმნის. თამაშების გარჩევისას კი პრობლემა ნაკლებად მექმნება. მწვრთნელი თავის მოთხოვნას გასაგებად ხსნის. რამდენიმე დღეა, კლუბმა ჰოლანდიური ენის სპეციალისტიც დამიქირავა, ვმეცადინეობ.

**— მაისის ბოლო ახლოვდება. კონტრაქტის გაგრძელებაზე არ გისაუბრიათ?**

— ჯერ ადრეა. სურვილი კი მაქვს როტერდამში დარჩენის, მაგრამ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

**— უკვე ეჭვი გეპარება?**

— არა, ეჭვი რა შუაშია. ბეენჰაკერმა და მისმა ამალამ თავად არ იციან, მაისის ბოლოს როგორ პასუხს მეტყვიან. ჩემპიონატის დამთავრებამდე დაახლოებით ათი დღით ადრე ყველაფერი გაირკვევა. ახლა, გადაწყვეტილი რომც ჰქონდეთ, მაინც არაფერს გამიმხელენ.

**— ამ დღეებში ჰოლანდიაში „სკონტო“ სტუმრობდა. რომელიმე ჩვენებურს არ შეხვედრილხარ?**

— ყველა ვინახულე. რიგელთაგან გამოსარჩევი თუ ვინმეა, პირველყოვლისა ქართველები. გვარამაძეზე ლაპარაკიც ზედმეტია, აქაურებს მისი გვარი აკერიათ პირზე. ბოლო თამაში ბელგიის ჩემპიონ „ლიერსთან“ ჰქონდათ, 0:1 წააგეს, მაგრამ მოგებაც შეეძლოთ, თანაც პენალტი გააცუდეს.

**ძოგა ინასარიძე**

# ლობანოვსკი

## ცოტას ლაპარაკობს, ბევრს აკეთებს და კალაძეს ლიბეროდ გვიმზადებს

დასაწყისი პირველ გვერდი

შევჩენკომ დაცხრილა მეტოქის კარი, მაგრამ გუსინმალა შეაგდო. ჩვენს „დინამოს“ რომ აქვს ეროვნული მატჩებისას უპირატესობა, სწორედ ისეთი გვქონდა. კარი ჯადოსნურს წააგავდა. ეგ არაფერი, არც პირველად წაგვიგია, არც უკანასკნელად. მორიგ ტურში „კარპატის“ ჯაერი ოდესელებზე ვიყარეთ, თუმცა ათბურთიანი სხვაობის ნაცვლად 1:0 ვიმარჯვეთ.

**— ლობანოვსკის ხასიათი ყველამ იცის. მადლობის მეტს არაფერს გეუბნება?**

— რატომ გგონია ასე? როცა კარგს გააკეთებ, დაფასებაც იცის. გამორიცხულია, ნებისმიერი თამაშის შემდეგ ვინმეს ცუდი უთხრას, პირიქით, მადლობაო, ამბობს და შეცდომებზე ტაქტიანად გვითითებს. ურთიერთობას რაც შეეხება, პირისპირ ძალიან იშვიათად თუ ვსაუბრობთ, ძირითადად ვარჯიშების და მატჩის წინ გამოველაპარაკებით ერთმანეთს. ლობანოვსკის უკმურობის რა გითხრა, უბრალოდ, ცოტას იტყვის, ბევრს კი აკეთებს.

**— იუვესთან განადგურების შემდეგ დაუცაცხანებდა ბიჭებს.**

— მსგავსი არაფერი ყოფილა. გუნდის კრება ჩაატარა და გაგვამხნევა, რა მოხდა, ქვეყანა არ დაქცეულა, წავაგეთ — წავაგეთ, ჩვენი დრო ჯერ არ მოსულა, კიევის „დინამო“ მომავლის გუნდიაო.

**— ისე გამოდის, ლიგის შემდეგი გათამაშებისას ამაზე მეტ ფურორს უნდა ველოდოთ.**

— ძალიან კარგი იქნება. აქ კიევის „დინამოს“ სხვანაირად უყურებენ. რა გაყიდვა, რის გაყიდვა, ფეხბურთელები აქეთ მოჰყავთ, მათაც სიამოვნებით „დინამოში“ თამაში. იციან, ეს გუნდი ორ-სამ თვეში არ დაიშლება. ამიტომაც ამბობს ლობანოვსკი, მომავლის გუნდი ვართო. აქამდე ხომ მაქსიმალურად გვიწყობდნენ ხელს, ახლა, ალბათ, ყურადღებაც გაორმაგდება. ჩვენი პრეზიდენტი სურკისი გუშინწინ პარლამენტარი გახდა. მთელი კლუბი დაირაზმა და ხმა მას მისცა.

**— ახალ ბაზაზე დაგიწყიათ ვარჯიში.**

— აუ, სასწაულია. წარმოიდგინე, ბაზის კეთილმოწყობა 18 მილიონი დოლარი დაჯდა. ოთხი სავარჯიშო მინდორი, ერთი კაუჩუკისსაფარიანი მოედანი, სამი საუნა, აუზები, გასართობი დარბაზი, საცხოვრებელი ოთახები, აღდგენითი ცენტრი. არა, მსგავსი არაფერი მინახავს. ამას ბაზა არ ჰქვია, სხვა რამაა. მიდი



კალაძე კიევში თბილად მოეწყო

ახლა და თქვი, კიევის „დინამოს“ წარმატებები შემთხვევითობააო. ასეთ ფულს რომ დააბანდებენ, ამოღება არ უნდა?

**— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ შენი ამბავი უფრო გვაინტერესებს. როგორ ფორმაში ხარ, მანდაურმა დატვირთვებმა არ გადაგღალა?**

— თავიდან ვერ შევეგუე. მოსამზადებელ პერიოდში მიჭირდა. გადავიტანე და ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ. მართლაც ძალიან გვტვირთავდა ლობანოვსკი, ერთი სული მქონდა, ვარჯიში როდის დამთავრდებოდა, მაგრამ ჩემთვის ხომ ასე უკეთესი იყო. ჩემპიონატი რაც დაიწყო, დატვირთვებმაც იკლო, სულ ბურთთან ვართ, კროსები და მისთანები აღარ გვაქვს.

**— ერთი სიტყვით, შენი ლიბეროობა ჭერჭერობით ამართლებს.**

— ეგრეა, კაციშვილს არ უთქვამს რაიმე კრიტიკულის მსგავსი. მეც ვგრძნობ ამას და უფრო თავდაჯერებულად ვთამაშობ. არა მგონია, ლობანოვსკი ზრდილობის გამო არ მეუბნებოდეს საყვედურს. თუმცა ვინ იცის, ეს იქნებ ამ თამაშებიდან გამომდინარე ტაქტიკური ჩანაფიქრიც იყო.

**— ისე, ერთთორჯერ უკანა მცველადაც გითამაშია.**

— კი, იყო ეგრე, მაგრამ კიევის „დინამო“ მაინც სხვაა, თანაც ახალი კლუბია...

**ძოგა ინასარიძე**

## გელა ინალიშვილი ზღვისპირეთს დაუბრუნდა

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა წევრმა, გელა ინალიშვილმა, რომელიც ბოლო ხანს რუსეთის უმაღლესი ლიგის სამარის „კრილია სოვეტოვში“ თამაშობდა, როგორც იქნა, ახალ კლუბს მიაგნო. იგი საქართველოში დარჩება და ევროთასის საგზურისთვის მებრძოლ ფოთის „კოლხეთს“ გააძლიერებს.

ფოთელებს სურვილი კი აქვთ, ინალიშვილთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმონ, მაგრამ ყველაფერი გუნდის საბოლოო შედეგზეა დამოკიდებული, უეფას თასზე თამაშის შემთხვევაში გელა „კოლხეთში“ დარჩება, თუ არადა... შეგახსენებთ, მეორე წრის დაწყებამდე ინალიშვილის გადაბირებას „რუსთავიც“ ცდილობდა.

## ბოლნისელებო, ეძებეთ მეკარე!

ნუგზარ დალაქიშვილი ბოლნისელი მეკარეა. მას შემდეგ, რაც ჩლაიძე არმიელთა გუნდში გადაბარგდა, ძირითადობაც იკისრა და ახლა „სიონი“ რომ წარმატებით თამაშობს, გარკვეულწილად მისი დამსახურებაც გახლავთ. რიგიან მეკარეს უბედობა სდევს — ხან ხელი მოიტეხა, ხანაც მხარი ამოიგდო და ფეხბურთიდან წესვლასაც აპირებდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა სთხოვეს, შენი შემცვლელი არ გვყავს, ბოლნისელი ხარ, „სიონს“ ხელი არ ჰკრა, დაგვეხმარეო. ისიც დარჩა. მოგეხსენებათ, მუდამ დუბლიორობა ცოტა შეურაცხმყოფელიც კია. თავმოყვარეობამ შეაწუხა კაცი და ძალიანაც მოინდომა.

მაგას ასე კი ნუ უყურებთ, დალაქიშვილს ბევრი მეკარე ჰყოლია თადარიგშიო — იტყვიან ბოლნისელები. თამაშობდა ბიჭი, მაგრამ ნუგზარი ხომ უილბლოცაა. „რუსთავთან“ საშინაო თამაშში ერთ-ერთი ნახტომის შემდეგ ადგომა გაუჭირდა. მგონი, ისევ ხელი იტკინა, ეგ ტრავმა ხომ ლამის ქრონიკულად ექცესო, თქვა მერაბ ჯაფარიძემ.

გრძელიძეს საშველი არ ჰქონდა, დალაქიშვილი ახალგაზრდა ბიწაძეთი შეცვალა. ახლა „სიონს“ ჭიათურაში პრინციპული თამაში ელის. ჯერაც გამოუცდელი მეკარით „მაღაროელთან“ შერკინება კი საძნელო საქმედ ჩანს. თანაც თამაშისას რა იცი, რა მოხდება და სათადარიგოც ხომ უნდა გყავდეს ვინმე.

მოკლედ, გძელიძეს პრობლემები არ აკლია. თუმცა მწვრთნელს იმედი აქვს, რომ დალაქიშვილს უწამლებენ და მეკარე ჭიათურაში წასვლას შეძლებს.

## 19 ტური

# სტუმრები დინამომ იხსნა

**მოვლენა** — **მასპინძლები 20:5 სტუმრები**

სტუმრებმა ამ ტურში იშვიათი სირცხვილი ჭამეს. მათ ნამუსი ბოლომდე ვერც „დინამომ“ მოსწმინდა. ჩემპიონმა თავისი საქმე დიდებულად კი გააკეთა — „მერანს“ თბილისურ დერბიში სტუმრად სძლია 5:0. თუმცა დინამოელთა ნაღვაწმა სტუმართა მონაგარს მაინც მოკრძალებული კვალი დააჩნია, რადგან დანარჩენ შვიდ მატჩში მომხვდურებმა ვერც ერთი გოლი გაიტანეს. ეს განსაკუთრებით სასირცხვილო მასპინძელთა ნავაჟკაცარის ფონზეა. ამათგან მხოლოდ „მარგვეთმა“ ვერ იხეირა, თორემ სხვებს ორ გოლზე ნაკლები არ გაუტანიათ.

მეცხრამეტე ტური ძლიერი მასპინძლებისა და აუტსაიდერი სტუმრების კლასიკური დაპირისპირების მაგალითი იყო. გამონაკლისი ოდენ „მერან“ — „დინამოს“ და ერთ ბედქვეშ მყოფი „სიონ“ — „რუსთავის“ და „მარგვეთ“ — „დილას“ შეხვედრები იყო. და მაინც, სტუმართაგან ასეთ უსიტყვო კაპიტულაციას არავინ მოელოდა. თუმცა თავისი წილი „დანაშაული“ არც მასპინძლებს უნდა დავუკარგოთ.

**სიონი 2:0 რუსთავი** — **სკანდალი**

სახიფათო ზონაში მყოფი ორი გუნდის შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა და მოლოდინიც გაამართლა. მხოლოდ სტუმრებს უმტყუნათ მოლოდინმა — ჩათვალეს, რომ უსამართლობით წააგეს. რუსთაველები პენალტს სთხოვდნენ გუნთაძეს და რაკი არ დანიშნა, უკმაყოფილონიც დარჩნენ. ამას გარდა გოლიც თამაშგარიდან გაგვიტანესო და სტუმრები ფედერაციის შესაბამის კომისიაში პროტესტის შეტანას აპირებენ.

**მოულოდნელობა** — **მარგვეთი 0:0 დილა**

მეორე წრეში ჯერ რომ არ მოუგია, ასეთი გუნდი ექვსია. მოულოდნელად მათ შორის „დილაცაა“. არადა, გორელები ამ გაზაფხულზე თუ გაძლიერდნენ, თორემ არც არავინ დაუკარგავთ. ზესტაფონში ვერმოგება მით უფრო გასაკვირი იყო. სულთმობრძავი „მარგვეთი“ სტუმრად „სამგურალმა“ დაამარცხა და იგივე გორელთათვის მიუწვდომელი სულაც არ უნდა ყოფილიყო.

**ჯონი ჯაგიდისი** — **გმირი**

მეორე წრის პირველ ტურში „სიონმა“ „ბათუმს“ რომ სძლია, მას მერე ჯონის სანთლით ეძებდნენ. ეძებდნენ და მიაკვლიეს თუ რა იყო, „რუსთავთან“ ისევ გამოჩნდა. 66-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ტყავაძის დარტყმული პირველივე საჯარიმო გოლად გარდასახა და ბოლნისელებს უპრინციპულესი მატჩი მოაგებინა. სწორედ 2:0-ზე გატყდნენ სტუმრები და თამაშის ხალისი თუ მოგების იმედი დაკარგეს.

**ანტიგმირი** — **ამ ტურს არ ჰყოლია**

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | დინამო | 14 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 12 |
| დავით მუჯირი | დინამო | 12 |
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 11 |
| გია მეგრელაძე | ტორპედო | 11 |
| მამუკა რუსია | თსუ | 9 |
| გრიგოლ გვაზავა | თსუ | 8 |
| ელდარ გვასალია | კოლხეთი | 8 |
| შალვა ისიანი | ოდიში | 8 |
| ჰამლეტ წივწივაძე | კოლხეთი | 8 |
| სულიკო დავითაშვილი | მერანი | 7 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | კოლხეთი | 7 |
| ლევან ქებაძე | ტორპედო | 7 |

### მეორე ჯგუფი

„ცხინვალმა“ პირველ წრეში სამტრედიული მარცხისთვის შური იძია, „იბერიას“ ორი ქულა დააკარგინა. ამით და ხაშურელთა მარცხით მეორე ადგილის კიდევ ერთმა კანდიდატმა ხობის „კოლხეთმა“ ისარგებლა და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა.

**XIX ტური**

კოლხეთი — თორი 5:0
აკადემია — ფაზისი 2:0
სქური — იბერია (ქ) 0:0
ასკ — იმერეთი 6:0
ცხინვალი — იბერია (ს) 0:0
მეშახტე — ივერია 3:2
*მერცხალი — კოდაკო და საპოვნელა — სამეგრელო ვერ შეეიტყვეთ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 19 | 17 | 2 | 0 | 69:12 | 53 |
| იბერია (ს) | 19 | 13 | 4 | 2 | 43:15 | 43 |
| კოლხეთი | 19 | 13 | 2 | 4 | 46:28 | 41 |
| ივერია | 19 | 12 | 3 | 4 | 49:21 | 39 |
| ცხინვალი | 19 | 11 | 2 | 6 | 48:24 | 34 |
| აკადემია | 19 | 11 | 4 | 4 | 51:20 | 32 |
| მერცხალი | 18 | 10 | 1 | 7 | 33:29 | 31 |
| სქური | 19 | 9 | 2 | 8 | 30:40 | 29 |
| თორი | 19 | 8 | 3 | 8 | 36:36 | 27 |
| ფაზისი | 19 | 8 | 1 | 10 | 31:36 | 25 |
| მეშახტე | 19 | 7 | 2 | 10 | 33:32 | 23 |
| სამეგრელო | 18 | 4 | 3 | 11 | 21:45 | 15 |
| კოდაკო | 18 | 3 | 2 | 13 | 15:42 | 11 |
| იმერეთი | 19 | 2 | 1 | 16 | 21:76 | 7 |
| იბერია (ქ) | 19 | 3 | 2 | 14 | 21:49 | 6 |
| საპოვნელა | 18 | 2 | 0 | 16 | 20:64 | 6 |

ზუგდიდი
ცენტრალური
29 მარტი

**ოდიში 5:0 ვიტ ჯორჯია**

**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე (ისიანი 61), ჩადუნელი (დათუაშვილი 72), ენდელაძე, გლუნჩაძე, ქოიავა (ქედია 61), კალანდაძე

**ვიტ ჯორჯია:** დავით ჯანელიძე, გ. ილურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, მ. ბურდული (ს. არჩვაძე 59), დვალიშვილი, ვ. ქუთათელაძე, ნადირაძე (გუგუშვილი 75), ალავიძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი

1:0 გლუნჩაძე (21), 2:0 ჩადუნელი (40), 3:0 გლუნჩაძე (56), 4:0 კალანდაძე (78), 5:0 ლურსმანაშვილი (88)

**გაფრთხილება:** ქუთათელაძე, ჩადუნელი

**მსაჯი:** გ. ასკაროლლი (ქარელი)

უეფას თასი. ნახევარფინალი

# სამი უთასო და ერთი თასიანი

ისე გამოდის, რომ მილანის „ინტერს“ დღევანდელი ევროპული თამაშისთვის უფრო თავდამსხმელთა იმედი უნდა ჰქონდეს, ვიდრე თავისი განთქმული ნახევარდაცვისა. მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ უეფას თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში, მილანელთა მწვრთნელი ჯიჯი სიმონი თავდასხმის ხაზის სამკაციანი ბრიგადის შექმნას აპირებს. „ინეტერისათვის“ ეს საკმაოდ მოულოდნელი და არცთუ ჩვეული ამბავია, მაგრამ რას იზამ, როცა ნახევარმცველები ან არ გყავს, ან სხვა საქმისათვის გჭირდება?

თავდასხმის შუაგულში გამაგრებულ რონალდოს აქეთ-იქედან ჩილელი ივან სამორანო და ფრანგი იური ჯორკაეფი ამოუდგებიან. ამ საღამოს, მილანელთა რიგში ვერ ვიხილავთ მის ნახევარმცველებს, დისკვალიფიცირებულ არგენტინელ დიეგო სიმეონეს და ასევე დასჯილ ფრანჩესკო მორიეროს. პორტუგალიელ ფლეიმეიქერ პაულუ სოუზას კი ევროსარბიელზე გამოსვლა ისედაც აკრძალული აქვს.

კიდევ ერთ არგენტინელს, ხავიერ ძანეტის კი დაცვაში მოუწევს გადაბარგება, რახან „ინტერს“ ჯანზე ვერა ჰყავს ფაბიო გალანტე და ლუკა მეძანო. ნახევარდაცვის ხაზს კი არცთუ საუცხოო სამეული დაიჭერს: ბრაზილიელი ზე ელიასი, ფრანგი ბენუა კოე და ჰოლანდიელი აარონ ვინტერი.

ორი დღეა, რაც ჯიჯი სიმონის მედია დასხმია თავს „ვიჩენცასთან“ გაძალლებული გამარჯვებისა და უფერული თამაშის კრიტიკით. შაბათს ხომ რონალდომ 94-ე (!) წუთზე გაიტანა გამარჯვების მეტად საეჭვო პენალტი. „ინტერმა“ მართლაც ძლივს მოიგო, მაგრამ ამ წარმატებამ სკუდეტოსათვის მებრძოლთა სამეულში ჩატოვა „იუვენტუსსა“ და „ლაციოს“ შორის.

„მე კარგი თამაშის ერთადერთი შეფასება ვიცი — მოგება“, — სიმონის დიდად არ შერცხვენია ამ სიტყვების წარმოთქმისას „მე პოეტი არა ვარ, კონკრეტულ საქმეს მივდევ.“



სარბიელის არქივიდან

ალესანდრო ნესტა — „ლაციოს“ რონალდო დღეს ვერ ითამაშებს

რაც შეეხება „სპარტაკს“, სიმონის მოსკოვ-ამსტერდამული ორთაბრძოლის კასეტები უნახავს და კარგა გვარიანადაც მოწონებია რუსები, სუსტ გუნდად მაცნობდნენ და არც მასეა საქმეო.

„ინტერისაგან“ განსხვავებით რუსთა ჩემპიონს არასოდეს მოუგია ევროპული ჯილდო, თავის ისტორიაში კი მესამედ გავიდა საერთაშორისო თასის ნახევარფინალში. 1991 წელს „სპარტაკმა“ ჩემპიონთა თასის ოთხეულში გაძერომა მოახერხა, 1993 წელს კი თასების თასისაში. რუსეთის ჩემპიონატი ორი დღის წინათ დაიწყო და „სპარტაკმა“ 1-2 წააგო პეტერბურგის „ზენიტთან“. რუსთა შუახაზის ლიდერმა დმიტრი ალენიჩევმა ეს წაგება „ინტერს“ გადააბრალა, სულ მაგ გუნდზე ვფიქრობდით და აბა რა იქნებოდაო. „სულ მაგ გუნდზე ფიქრობს“ მწვრთნელი ოლეგ რომანცევიც, რომელიც მილანში მლევარე ჩამოსულა.

ისე კი, რუსთა შემადგენლობა ოპტიმალურს უახლოვდება: მცველი დმიტრი ანანკო და ნახევარმცველი ვალერი კეჩინოვი ჯანზე მოსულან და ერთადერთი, ვისი „სან სიროზე“ განავარდებაც საეჭვოა, მცველი მიროსლავ რომაშჩენკო გახლავთ.

მადრიდში კი შფოთავს „ატლეტიკოს“ ბობქარი პრეზიდენტი ხესუს ხილი. განა ხუმრობაა? „ატლეტიკო“ „ლაციოს“ მასპინძლობს მშობელ „ვისენტე კალდერონზე“. 1962 წლის შემდეგ „ატლეტიკოს“ ევროპული თასი არ მოუგია, 1974 წლის შემდეგ კი არანაირი საერთაშორისო ჯილდო არ რგებია. არადა გუნდი ყოველთვის ახლოა ხოლმე დიდ გამარჯვებასთან, მაგრამ...

სადღეისოდ, ხილმა პრესასთან ლაპარაკი აუკრძალა თავის ფეხბურთელებს და ესპანელ ჟურნალისტებს თავადვე გაესაუბრა: „ძალიან გვაშინებენ ამ „ლაციოთი“. ვიცი, ძლიერი გუნდია. ვფიქრობ, 1:0-ს მაინც მოვიგებთ. მთავარია, არ გავუშვათ.“

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ხილი „ატლეტიკო“ — „ლაციოს“ ტელევიზორში თუ უყურებს, რადგან ფიფამ 15 ივნისამდე აუკრძალა რაგინდარა სტადიონზე მისვლა. მაგრამ ხილი რა ხილია, ყველას მოეხსენება. ბოლო 11 წელიწადში 10 ასეთი სასჯელი სდებია და არად ჩაუგდია. ასე რომ, არავის გაუკვირდეს, თუ ეს სქელუა ლოჟაში გამოჭიმული იხილოს.

მადრიდელთა მწვრთნელ რადომირ ანტიჩს კი თავისტკივილი სჭირს. სასჯელის გამო ვერ ითამაშებს კიკო ნარვაესი, რომელიც ბურთის მთავარ მიმწოდებლად ჰყავს თავდასხმაში. იტალიელმა კრისტიან ვიერიმ რომ 22 გოლი შეაგდო ლიგაში, კიკოს დამსახურებაცაა.

„ვიერი ყველაზე მაგარია „ატლეტიკოში“, — თქვა „ლაციოს“ თავდამსხმელმა პიერლუიჯი კაზირაგიმ — „ის საოცრად ხედავს ბურთს და გარძნობს მოედანს.“

აი ხილს კი თავად კაზირაგი დიდად არაფრად მიაჩნია: „რომაელთაგან საქმის გამკეთებლები ფუზერი, მანჩინი, ბოკშიჩი და ნედვედი არიან. ამათი უნდა გვეშინოდეს.“

მართლაც რომ საშიშნი არიან ეს რომაელები. მით უმეტეს, რომ პარასკევს დაშავდა მადრიდელთა ძირითადი მეკარე ფრანსისკო მოლინა და კარში კიდევ ერთხელ უნდა ჩადგეს 35 წლის პედრო ხარო. მადრიდელთა ბრაზილიელ მარცხენა მცველს ანდრეი ფრასკარელის კი ჯერაც ვერ მოუშუშებია ცაცია კოჭი.

„ატლეტიკომ“ თუ საწყენი ყაიმით დაასრულა ტურის ბოლო შეხვედრა „სოსიედადთან“, „ლაციომ“ კომფორტულად იმარჯვა უდინეში და მადრიდშიაც კარგ ხასიათზე ჩამოვიდა. თუმცა, ხინჯი რომაელებსაც გამოერიათ. დაცვის ხაზში პრობლემაა: ჯუზეპე პანკარო ტრავმის გამო არ იქნება, ალესანდრო ნესტა კი სასჯელს იხდის.

ამის მიუხედავად, „ლაციოს“ შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი დაცვის მოწესრიგებას აპირებს. არგენტინელი ვეტერანი ხოსე ანტონიო შამოტი საჯარიმოს შუაში დაიჭერს ადგილს, რათა ნესტას სავრცე ამოავსოს. 20 წლის მაღალნიჭიერი ალესანდრო გრანდონი მარჯვენა ფრთაზე იქნება, მაგრამ რომაელები მაინც ბევრს დარდობენ თავიანთი მძლე მცველის არყოფნას.

„ნესტა ჩვენთვის იგივეა, რაც სამხოვრისთვის, რასაც „ინტერისთვის“ რონალდო,“ — ამბობს ჯერაც დაუბერებელი რობერტო მანჩინი. „ძნელია, მის გარეშე იმედიანად ყოფნა, მით უმეტეს, „ვისენცე კალდერონზე“.

მთელი ამ ოთხეულიდან კი მხოლოდ „ინტერს“ მოუგია უეფას თასი, თანაც ისე რომ, ამბობდნენ, წარამარა ამ თასის ჭერას, უმჯობესია, სკუდეტოს მიხედოსო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ვინ, რომელ საათზე იმსაჯებს

**უეფას თასი**

დღეს

**ატლეტიკო — ლაციო**

23.30 — პოლ დარკინი (ინგლისი)

**ინტერი — სპარტაკი**

22.45 — მარკუს მერკი (გერმანია)

**ჩემპიონთა თასი**

ხვალ

**იუვენტუსი — მონაკო**

22.45 — ნიკოლაი ლევნიკოვი, (რუსეთი)

**რეალი — დორტმუნდი**

22.45 — მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

**თასების თასი**

ზეგ

**შტატგარტი — ლოკომოტივი**

22.30 — ვიქტორ პერეირა (პორტუგალია)

**ვიჩენცა — ჩელსი**

22.45 — მანუელ დიას ვეგა, (ესპანეთი)

შეხვედრათა დაწყების დრო თბილისურადაა მითითებული.

ჩემპიონთა თასი. ნახევარფინალი

# ხვალ გუენდებს დააკლდებათ

ხვალ ევროპის ყველაზე პრესტიჟული გათამაშების — ჩემპიონთა ლიგის ბოლოსწინა ეტაპის პირველი მატჩები გაიმართება — მადრიდის შესანიშნავ „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე სამეფო კლუბი მადრიდის „რეალი“ თასის მფლობელ დორტმუნდის „ბორუსიას“ უმასპინძლებს, ტურინში, „სტადიო დელე ალპიზე“ კი „იუვენტუსი“ ფრანგთა პირველ გუნდ „მონაკოს“ დაუპირისპირდება.

რა შეიძლება ითქვას ამ თამაშებზე? ერთი რამ ცხადია, შეხვედრები ძალიან დაძაბული იქნება, მატჩის მნიშვნელობამ კი, ვფიქრობთ, თამაშზე უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს.

გათამაშებას შემორჩენილ ოთხ გუნდს შორის ფავორიტად მრავალი ტურინულ „დელ ვეკია სენიორას“ (ქართულად რომ ვთქვათ, ბებერ ქალბატონს), იგივე „იუვენტუსს“ მიიჩნევს. ამის მიზეზები, ვფიქრობთ, ფეხბურთის მოყვარულთათვის გასაგები უნდა იყოს — მარჩელო ლიპის გუნდი შესანიშნავად თამაშობს და ისეთ მეტოქეებს, როგორიც თუნდაც „მილანია“, მიწასთან ასწორებს. ერთი სიტყვით, ტურინელებს ხვალინდელ შეხვედრაში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ, თუმცა არც „მონაკოა“ ხელწამოსაკრავი.

მეტოქეთა ძალების შეფარდება ხვალ გამოჩნდება, მანამდე კი ფეხბურთელებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა:

მასპინძლები სავარაუდოდ ვერ ათამაშებენ ურუგვაელ მცველ პაოლო მონტეროს, რომელსაც ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული. მცირე ტრავმები აწუხებთ მარჯვენა მცველ ჯანლუკა პესოტოს და ფილიპო ინძაგის, თუმცა თუ ლიპიმ მოისურვა, სავარაუდოდ ამათი თამაში შესაძლებელია. ტურინელთათვის უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება ფრანგი ზინედინ ზიდანი, რომელმაც ნაკრების რუსებთან ამხანაგური მატჩისთვის მომზადების პერიოდში კოჭის ტრავმა მიიღო. ზიდანი მას შემდეგ მკურნალობდა. რა მდგომარეობაში იქნება ხვალ, ცნობილი არ არის. აქვე იმას დავძენთ, რომ გუნდს დაუბრუნდა ანტონიო კონტეც, რომელიც თამაშით იყო დისკვალიფიცირებული.

დაშავებულნი სტუმრებსაც ჰყავთ. მცველი სილვიან ლეგვინსკის ჩემპიონატში მიღებული მუხლის მყესების ტრავმა სამი კვირით არ მისცემს თამაშის საშუალებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არათუ ხვალინდელ მატჩში, ალბათ საპასუხო შეხვედრაშიც ვერ დაეხმარება თანაგუნდელებს. კიდევ ერთი მცველი — ფრენკ დუმა პირველობის ბოლო ტურის მატჩში, გინგამელ გუინგასთან ორთაბრძოლისას დაშავდა, თუმცა ხვალ ითამაშებს თუ არა, ეს უკვე მონაკოელთა მწვრთნელ ჟან ტიგანას გადასაწყვეტია. ისე, სტუმართა მწვრთნელს, ლიპისგან განსხვავებით, უფრო მეტი პრობლემები აქვს — შოტლანდიელი ნახევარმცველი ჯონ კოლინზი და მცველი ფილიპ ლეონარდი დისკვალიფიცირებულნი არიან, გუნდის უპირველესი ბომბარდირის დავიდ ტრეზეგეს თამაში კი ეჭვქვეშაა. ბევრი სხვა თანაგუნდელის დარად ტრეზეგეც ტრავმირებულია.

ერთი სიტყვით, ტურინში მეტოქეები ან რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებენ, ანაც მცირე დანაკლისებით წარსდგებიან ერთმანეთის წინაშე.

რა იქნება ესპანეთის დედაქალაქში?

ჩემპიონთა თასის ექვსგზის (რეკორდული შედეგია) მფლობელები ამ ნახევარფინალის ფავორიტებად ითვლებიან, თუმცა არც ისეა საქმე, იერშეცვლილი, „დორტმუნდი“ ნაადრევად ჩამოვწეროთ თასის პრეტენდენტთაგან. მართალია, ნევიო სკალას გუნდს ამ სეზონში მთლად დალხინებულად ვერ აქვს სამე, მაგრამ დორტმუნდელებს ჯერ არც ისე დაძაბუნებულან, ევროპაში რომ შერცხვნენ — ამას მათ მიერ მეოთხედფინალში ძლეული, ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერი, მიუნხენის „ბაიერნიც“ მოწმობს.

მადრიდში ვერ ითამაშებს „რეალის“ ერთ-ერთი ლიდერთაგანი ფერნანდო იერო, რომელიც დისციპლინარული დარღვევების გამოა დისკვალიფიცირებული. დაბრუნებით კი „რეალს“ იუგოსლაველი ფორვარდი პრედრაგ მიატოვიჩი დაუბრუნდება, რომელიც მწვრთნელმა ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრიდან დაასვენა. მიატოვიჩის დარად ბოლო ტურში „ვალიადოლიდთან“ არ უთამაშია გუნდის კაპიტან მანუელ სანჩისს და იტალიელ მცველ კრისტიან პანუჩის, რომლებსაც მცირე ტრავმები აწუხებდათ. ისე, შეიძლება „რეალის“ პრეზიდენტის ლორენსო სანსის ვაჟიშვილმა ფერნანდომ, ხვალ ევროტურნირებზე პირველი მატჩი ითამაშოს.

რაც შეეხებათ დორტმუნდელებს, გერმანელთა იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა ერთობ იმედიანად ყოფილა.



სარბიელის არქივიდან

იეროს იერი შეცვლია

# წითლები და ყვითლები

**ჩემპიონთა თასი**

**იუვენტუსი — მონაკო**

**იუვენტუსი:**
დისკვალიფიცირებული არავინაა
გაფრთხილებულები: ედგარდ დავიდსი, დიდიე დეშამპი, ანჯელო დი ლივიო, დიმაში, ფაბიო პეკია, ჯანლუკა პესოტო, ალესიო ტაკინარდი, მორენო ტორიჩელი, ზინედინ ზიდანი

**მონაკო:**
დისკვალიფიცირებულნი არიან: ჯონ კოლინზი, ფილიპ ლეონარდი
გაფრთხილებულები: ფაბიენ ბარტეზი, ალი ბენარბია, სალიფ დიაო, ვიქტორ იკპება, მუჰამედ კონჯიჩი, სილვაინ ლეგვინსკი, ვილი სანიოლი, დავიდ ტრეზეგე, ფრანსისკო და კოსტა

**რეალი — დორტმუნდი**

**რეალი:**
დისკვალიფიცირებულია ფერნანდო იერო
გაფრთხილებულები: კრისტიან კარემბუ, პრედრაგ მიატოვიჩი, ფერნანდო მორიენტესი, კრისტიან პანუჩი, რაული, ფერნანდო რედონდო, ვიქტორ სანჩესი, მანუელ სანჩისი

**დორტმუნდი:**
დისკვალიფიცირებულია ვოლფანგ ფაიერზინგერი
გაფრთხილებულები: შტეფან შაპუიზა, ჰაიკო ჰერლიხი, ჟულიო სეზარი, მარტინ კრეე, ანდრეას მიოლერი, იბრაჰიმ ტანკო, იურგენ კოლერი, შტეფან ფროინდი

**თასების თასი**

**ვიჩენცა — ჩელსი**

**ვიჩენცა:**
დისკვალიფიცირებული არავინაა
გაფრთხილებულები: ფაბიო ვივიანი, მასიმო ბეგეტო, მარკო სკენარდი, რიკარდო კანალსი, მასიმო ამბროზინი

**ჩელსი:**
დისკვალიფიცირებული არავინაა
გაფრთხილებულები: პოლ ჰიუზი, გუსტავო პოიეტი, რობერტო დი მატეო, მარკ ნიკოლსი, ჯანფრანკო ძოლა, დენის უაიზი, მაიკლ დაბერი, დან პეტრესკუ

**შტუტგარტი — ლოკომოტივი**

**შტუტგარტი:**
დისკვალიფიცირებულია ზვონიმირ სოლდო
გაფრთხილებულები: იოხენ ენდრესი, ფრანკ ვერლაატი, გერჰარდ კოშნერი, მათიას ჰაგნერი, მარტინ სპანრინგი, თომას შნაიდერი, კრისტიან ჯორჯევიჩი

**ლოკომოტივი:**
დისკვალიფიცირებული არავინაა
გაფრთხილებულები: იგორ ჩერევჩენკო, ალექსეი არიფულინი, ხასანბი ბიჯიევი, ვიტალი ვესელოვი, დმიტრი ლოსკოვი, ალექსეი კოსოლაპოვი

**უეფას თასი**

**ატლეტიკო — ლაციო**

**ატლეტიკო:**
დისკვალიფიცირებულია კიკო
გაფრთხილებულები: დანიელ პროდანი, ანდრეი ფრასკარელი, ხუან ლოპესი, ფრანსისკო მოლინა, სანტიაგო სანჩესი, კრისტიან ვიერი, ხოსე ლუის პერესი

**ლაციო:**
დისკვალიფიცირებულია ალესანდრო ნესტა
გაფრთხილებულები: ლუკა მარკეჯანი, პაოლო ნეგრო, ხოსე შამოტი, რობერტო მანჩინი, ალენ ბოკშიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი, დარიო მარკოლინი, პაველ ნედვედი

**ინტერი — სპარტაკი**

**ინტერი:**
დისკვალიფიცირებულნი არიან ფრანჩესკო მორიერო, დიეგო სიმეონე
გაფრთხილებულები: აარონ ვინტერი, ხოსე მოედინი, ხავიერ ძანეტი, ფრანჩესკო კოლონეზე, ტარიბო ვესტი

**სპარტაკი:**
დისკვალიფიცირებულია ანდრეი ტიხონოვი
გაფრთხილებულები: ალექსეი ბახარევი, დმიტრი ხლესტოვი, დმიტრი ანანკო, ალექსანდრ ფილიმონოვი, ვალერი კეჩინოვი, ალექსანდრ შირკო

„სარბიელი“ სათანამშრომლოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული

# არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!

## ინგლისი

XXXI ტური

### საუთჰემპტონი 2:1 ნიუკასლი

**საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ბენალი, პალმერი, ლუნდეკვამი, დრაიდენი, ლე ტისიე (ბეშემი 88), ოუკლი (რიჩარდსონი 69), ჰერსტი, ოსტენსტადი, ბერესფორდი**
**ნიუკასლი: გივენი, პირსი, პისტონე, პიკოკი, დაბიზასი, გილესპი (ქეცბაია 81), ლი (ჰამილტონი 57), ბარნსი, ჰიუზი, ტომასონი, შირერი**
**0:1 ლი (46), 1:1 პირსი (69ს.კ), 2:1 ლე ტისიე (85პ)**

სეზონი უკვე დასასრულის პირასაა. მალე აპრილიც გაილევა. მაისის პირველ რიცხვებში კი მორიგი პრემიერლიგური სეზონიც ჩათავდება. სად იქნება იმ დროს „ნიუკასლი“ — პრემიერლიგაში, თუ იქ სადაც ჯერჯერობით „მანჩესტერ სიტი“ წვალობს? ძნელი გამოსაცნობია მათი სავაისო ასპარეზი. ჯერ-ჯერობით კი, იმ თამაშით, „საუთჰემპტონთან“ რომ აჩვენა, საეჭვოა, გუნდი პრემიერლიგაში დარჩეს. სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

— „ნიუკასლი“ რომ ასეთ დღეშია, სეზონის დასაწყისში წარმართული მცდარი საკადრო პოლიტიკის ბრალია. ვფიქრობ, დალგლიშს სათანადო მოთამაშეები რომ შეერჩია და გუნდი ხეირიანად დაეკომპლექტებინა, მისთვისაც და გუნდისთვისაც უკეთესი იქნებოდა. ცხადია, მარტო მოთამაშეებს ვერ დავადანაშაულებთ, გუნდის წარუმატებლობაში მწვრთნელსაც თავისი წვლილი მიუძღვის და არცთუ მცირე — წერს ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული ჟურნალისტი კლაივ უაიტი.

როგორ ფიქრობთ, მეოთხე ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი მართალია? უაიტის მიერ დასახელებული „ნიუკასლის“ კრიზისის გამომწვევ პირველ მიზეზზე, ალბათ, გულშემატკივართა აზრები ორად გაიყოფა. განა კევინ კიგანსაც, გარდა ერთი-ორი ფეხბურთელისა, იგივე გუნდი არ ჰყავდა? რა, ცუდად ათამაშებდა ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი „ნიუკასლს“? კიგანის ხელმძღვანელობით ჩრდილოინგლისელები პრემიერლიგაში ალზევდნენ. ორჯერ პრიზიორებიც გახდნენ, შარშან კი „ნიუკასლი“ მხოლოდ მანჩესტერელებს რომ ჩამორჩა, ეს უფრო ზამთარში გუნდიდან წასული კიგანის დამსახურებაა, ვიდრე დალგლიშისა. ამ უკანასკნელს რისი ძალაც შესწევდა, ამ სეზონში დამტკიცდა და, სამწუხაროდ, კვლავ დამტკიცდება. ასე რომ, უაიტის ეჭვი, თითქოსდა გუნდის დასნეულების მიზეზი ახალწვეულები არიან, ალბათ უსაფუძვლოა. „ნიუკასლის“ ახალ ფეხბურთელთა უსარგებლობაზე წარმოდგენას თუნდაც მხოლოდ საქართველოს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის თემურ ქეცბაიას თამაშიც გაფანტავს — ზაგრებში, „კროაციასთან“ ორსაათიანი დაძაბული ბრძოლის ბოლო წამზე თემურის მარჯვედ მოქნეული მარჯვენის წყალობით „ნიუკასლი“ პირველად ისტორიაში ჩემპიონთა ლიგაში შეიჭრა. გარდა ამისა, პრემიერლიგის რამდენიმე შეხვედრაში ქართველი ნახევარმცველის ბოლო წუთებზე გატანილმა ბურთებმა გუნდს გამარჯვება დაუბევა. ასე რომ, ჯობს, ახალწვეულთა სარგებლიანობაზე საუბარი აქვე დავამთავროთ, თორემ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა.

რაც შეეხება უაიტის მიერ დასახელებულ მეორე მიზეზს, ამის თაობაზე უკვე ითქვა და თავს აღარ შეგაწყენთ, ახლა თავად მატჩზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას.

გახსოვთ ჯონ ბერესფორდი? ეს კუნთმაგარი მცველი სეზონის დასაწყისში „ნიუკასლში“ ირჯებოდა, პირველი წრის მატჩში „საუთჰემპტონის“ წინააღმდეგაც ითამაშა, ახლა კი აწ უკვე საუთჰემპტონელმა ყოფილი კლუბის ძლევაში დიდი როლი ითამაშა.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე რობ ლიმ ჯეისონ დოდის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მალე კი ბერესფორდის ჩაწოდებული კუთხურის მოგერიებისას ნიუკასლელმა სტიუარტ პირსმა იმდენი ქნა, ავტოგოლი შეავდო. სხვათა შორის, მისთვის საბედისწერო მომენტში პირსი უკვე კაპიტნის სამკლაურით თამაშობდა, რადგან გუნდისთავი რობ ლი ანგარიშის გახსნის მერე დაშავდა და შეცვალეს კიდეც. მან იქნებ ასოციაციის თასის ნახევარფინალშიც ვერ ითამაშოს „შეფილდ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. მერე კვლავ ბერესფორდის კუთხური იყო, რომელსაც ლე ტისიეს, ერთი შეხედვით ზუსტი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ აარონ ჰიუზი ზედ კარის ხაზზე ხელით თამაშობს. უეჭველი პენალტი ამ დარტყმის ოსტატის, ლე ტისიეს შესრულებით. თამაშის დასასრულამდე ხუთი წუთით ადრე სტუმართა კარის დარაჯი შეი გივენი მეორე გოლს უშვებს და მასთან ერთად შეხვედრის გადარჩენის იმედებს ქარს ატანს.

და მაინც, დარჩება „ნიუკასლი“ პრემიერლიგაში?

### ბარნსლი 2:3 ლივერპული

**ბარნსლი: უოტსონი, იდენი, ეპლიბი, შერიდანი, მარსელი (ხრისტოვი 76), ბალოკი (ბოზანჩიჩი 54), ჯონსი, ბერნარდი, მორგანი, ფიორტოფტი (ლიდელი 73), რედფერნი**
**ლივერპული: ფრიდელი, ჯონსი, ბები, ლეონარდსენი (მერფი 85), ჰარკნესი, რიდლე, მატეო, რედნაპი, ინსი, მაკმანამანი, ოუენი**
**1:0 რედფერნი (37), 1:1, 1:2 რიდლე (44, 59), 2:2 რედფერნი (85პ), 2:3 მაკმანამანი (90)**

ხანდახან მსაჯებსაც ევსებათ მოთმინების ფიალა. ამ შეხვედრის არბიტრს, უორსინგელ გერი ვილარდს ყელში ამოუვიდა ყველაფერი და მეორე ტაიმის შუაში გასახდელში დურთა თავი. მიზეზი? — მას შემდეგ, რაც არბიტრმა მასპინძელთა ორი მოთამაშე გააძევა, ერთმა შეზარხოშებულმა ჩაპუტკუნებულმა ბარნსლელმა ფანმა ველარ მოითმინა და მსაჯთან ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით „ოუკველი“ (ბარნსლის სტადიონია) გადაჭრა. მისდა სამწუხაროდ, საყვარელი გუნდის ფეხბურთელებმა შეხვედრის მსაჯულის შეურაცხყოფა არ დაანებეს და მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი პოლიციელების დახმარებით ტრიბუნაზევე დააბრუნეს, ნერვებმოშლილი ვილარდი კი, როგორც ვთქვით, გასახდელში მიიმალა.

ხუთი წუთი ემუდარებოდნენ უილარდს მატჩის განახლებას. ერთი ხანობა მსაჯი გაჯიუტდა, მაგრამ საბოლოოდ მოლბა და შეხვედრაც განახლდა, თუმცა მატჩი უფრო რთული განსასჯელი გახდა, შეხვედრის ბოლოს კი მცირე ხნით სიტუაცია კვლავ უმართავი გახდა.

მაიკლ ოუენი 18 წლის ბიჭია. უყვარს ფეხბურთი, ურიგოდაც არ თამაშობს, ბედმა კი „ლივერპულის“ თავდამსხმელად აქცია. მიუხედავად თინეიჯერული ასაკისა, ყმაწვილი უკვე პრემიერლიგის ბომბარდირობისთვისაც იბრძვის. ამ შეხვედრაში კი, მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია, მასპინძელთათვის ყველაზე ავადმოსაგონარი სტუმარი გამოდგა — ოუენთან უხეშობის გამო 53-ე წუთზე ჯერ ბერნარდი გააძევეს, თორმეტი წუთის შემდეგ კი მორგანი. ორი ბარნსლელის მოსაკლისება არბიტრის თამამ და, რაც მთავარია, სამართლიან გადაწყვეტილებებს მოჰყვა.

— ეს იყო უბრწყინვალესი, მაგრამ ამავე დროს ყველაზე ტრაგიკული შეხვედრა, რომელშიც კი ოდესმე მონაწილეობა მიმიღია. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავმარცხდით, მხოლოდ ერთი რამ, ინგლისური ფეხბურთი ზეიმობდა. ეს იყო ის, რის გამოც ხალხს ასე უყვარს ეს თამაში. დღეს აქ, პატარა ბარნსლიში, ნაღდი, ჯიგრიანი ფეხბურთი იყო — ეს სიტყვები „ბარნსლის“ კაპიტანმა და უპირველესმა ბომბარდირმა ნილ რედფერნმა ცხელ გულზე, ემოციებს აყოლილმა თქვა, ბოლოს კი სევდანარევი ხუმრობით ისიც დასძინა, ეს რა გვიქნა სტივმა (მაკმანამანმა), საათნახევრიანი ნაჯაფარი წყალში ჩაგვიყარაო.

მართლაც რა ქნა მაკმანამანმა? — არაფერი ისეთი. გოლი გაიტანა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გოლი, მაგრამ მაინც რა გოლი! პარადოქსია — ერთის მხრივ მაკმანამანმა ამ შეხვედრაში მანამდე გატანილი ოთხი ბურთისგან დიდად არაფრით გამორჩეული შეაგდო, მაგრამ მნიშვნელობით ლივერპულელი ნახევარმცველის ზუსტად დარტყმული ოთხ წინამორბედს სჯობდა. ისე, დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა — ინგლისელთა კვალობაზე საკმაოდ ტექნიკური მაკმანამანი სეზონის დასასრულს ისე ათამაშდა, როგორც დასაწყისში. პირველ ტურნირშიც და აგერ, პირველობის ბოლო ეტაპზეც ლივერპულელთა შვიდი ნომერი შეუდარებელი, გუნდის ნამდვილი სული და გულია. ჩემპიონატის შუაწელშიც ასე რომ ეთამაშა, ევებ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელობაზე განეცხადებინა პრეტენზია, თუმცა ვინ იცის. იქნებ, არც ახლაა გვიან?

ნერვების დაწყვეტამდე დაძაბულ შეხვედრაში ზეობის შემდეგ სტუმართა თავკაცი როი ევანსი იტყვის, ახლა რომ არ გაგვემარჯვა, ჩემპიონობაზე ფიქრს, ალბათ, საბოლოოდ შევეშვებოდი, მაგრამ რაკი მოვიგეთ, მომავალ თამაშებს უფრო იმედიანად შევხვდებითო. მანვე დასძინა, ახლა ჩვენთვის ყოველი შეხვედრა ომი იქნება. ბიჭებიც ბოლომდე იბრძოლებენ. ამ სეზონში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩემპიონთა ლიგის საგზური ხელთ უნდა ვიგდოთ.

ამბობენ, კაცი იმედით ცოცხლობსო...



ბარნსლი სტივ მაკმანამანმა დაადონა

სარბიელის არქივიდან

### არსენალი 1:0 შეფილდი

**არსენალი: სიმენი, დიქსონი (გარდე 52), უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, ვრე (ანელკა 57), კეონი, პარლოუ (გრიმანდი 74), ჰიუზი, ბერხკამპი, ოვერმარსი**
**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, პემბრიჯი (უითინგემი 83), უოკერი, კარბონე (ჰაიდი 67), ბუთი, დი კანიო, სტეფანოვიჩი, ჰინჩლიფი, სტდლოსკი, ბარეტი**
**1:0 ბერხკამპი (35)**

— ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ — ამ სეზონში „არსენალი“ საჩემპიონო გუნდია. წელს უთუოდ პირველები უნდა გავხდეთ — როგორც ჩანს, ლონდონელთა ფრანგი მასწავლებელი არსენ ვენგერი პირველობაზე ფიქრში დღე-ღამეს ასწორებს.

ახლა მომდევნო სამ შეხვედრას „არსენალი“ დენის ბერხკამპის გარეშე ითამაშებს. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა გაძევება-გაფრთხილებებით და საჯარიმო ქულებით ზღვარს გადააჭარბა და ფეხბურთის ასოციაციას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დასტყუა, მაგრამ სანამ გუნდს გამოეთხოვებოდა, არსენალელებს გამარჯვება დაუბევა.

### მანჩესტერი 2:0 უიმბლდონი

**მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, ირვინი, მეი, იონსენი, ფ. ნევილი, ბერგი, ბექემი, კოული (მაკლეირი 90), სქოულზი, სოლსკიაერი (ტორნლი 81)**
**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ტეტჩერი, ერლი, რობერტსი, პერი, ჰიუზი, ლებერნი, გეილი (იუელი 60), ერდლი**
**1:0 იონსენი (83), 2:0 სქოულზი (90)**

რა კარგი გუნდი იყო სეზონის დასაწყისში „მანჩესტერ იუნაიტედი“. ალექს ფერგიუსონის გუნდი ჭეშმარიტ ფეხბურთს ქადაგებდა, შინაურ სარბიელზე ხომ ყველას აცამტვერებდა, ევროპაშიც ამინდს ქმნიდა, მაგრამ... ცუდად დაიწყო ახალი წელი „ალისფერი ეშმაკუნებისთვის“ — გუნდი ვერა და ვერ დაეწყო. მათდა ჭირად, სწორედ ამ დანავსულ პერიოდს დაემთხვა ჩემპიონთა ლიგის აწ უკვე ისტორიად ქცეული მეოთხედფინალი „მონაკოსთან“. მდევარი „არსენალიც“ ერთობ წამოეწია. ერთი სიტყვით, 1998 წლის დასაწყისში მანჩესტერელები წახდნენ.

### კრ. პალასი 1:3 ტოტენჰემი

**კრ. პალასი: მილერი, ედვორდსი, გორდონი, ჩურჩიჩი (პრიდარსონი 60), ისმაელი, იანსენი, როჯერი, სმიტი, ლომბარდო, პადოვანო (შიპერლი 65), ბროლინი (ბილიო 75)**
**ტოტენჰემი: უოქერი, კალდერვუდი, ფოქსი (ბრეიდი 73), ვეგა, უილსონი, კემპბელი, ბერტი, საიბი, კარი (მაუელსი 30), კლინსმანი, არმსტრონგი (დომინგუში 81)**
**0:1 ბერტი (55), 0:2 არმსტრონგი (72), 0:3 კლინსმანი (77), 1:3 შიპერლი (82)**

საერთოდ „კრისტალ პალასს“ ხეირიანი მცველობელი არ ჰყავს, მწვრთნელზე ხომ საუბარი ზედმეტია, სტადიონიც „უიმბლდონთან“ აქვს საზიარო. აქედან გამომდინარე, რომელ წარმატებაზე შეიძლება ფიქრი?

### ევერტონი 1:4 ასტონ ვილა

**ევერტონი: მერი, შორტი (დანი 83), უოტსონი, ბოლი, ოკიში, ატკინსონი, ფარელი (კადამარტერი 74), ოსტერი (ბიგრი 67), ბარმბი, სპენსერი, მადარი**
**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, დრაპერი, ტეილორი, იორკი, იოაკიმი (ბიფელდი 88), რაიტი, ჰენდრი (გრეისონი 85)**
**0:1 იოაკიმი (12), 1:1 მადარი (38), 1:2 ჩარლზი (62), 1:3, 1:4 იორკი (72პ, 81)**

ბირმინგემელთა ორი წამყვანი მოთამაშე, ცრუ თავდამსხმელი სტენ კოლიმორი და სავო მილოშევიჩი ტრავმირებულნი არიან, მაგრამ ტრინიდადელ დუაიტ იორკს უპარტნიოროდ არ გასჭირვებია გალაღება. ისე, შესვენების შემდეგ, მეორე ნახევრის შუაში, 50-მეტრიანი სოლო გარღვევის შემდეგ გოლი რომ შეეგდო, ბრწყინვალე იქნებოდა.

### ქოვენთრი 1:0 დერბი

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, ბრინი, ჰაკერბი, ველანი, ტელფერი, სოლტვედტი, ბოატენგი, ნილსონი, დაბლინი**
**დერბი: ჰალტი, ქ. პაუელი, შტიმაცი (როუეტი 72), დელაპი, ბოჰინენი, ლაურსენი, კერსლი, დეილი, დ. პაუელი (ბარტონი 54), ბაიანო (სოლისი 86), ვენჩოპი**
**1:0 ჰაკერბი (44)**

ერთადერთი გოლის ავტორმა, 21 წლის დარენ ჰაკერბიმ გასულ ხუთშაბათს „ქოვენთრისთან“ 2 მილიონ გირვანქად ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### ბოლტონი 2:0 ლესტერი

**ბოლტონი: ბრენეგენი, კოქსი, ფიში, ტომპსონი, ფილიპსი, ბერგსონი, შერიდანი, ტოდი, ფრანდსენი, ტეილორი, ჰოლდსუორსი (სალაკო 37, იოჰანსენი 84)**
**ლესტერი: კელერი, კამარკი, ალერტონი, პრაიორი, ელიოტი, პარკერი, ლენონი (ფენტონი 75), ზაგორსკი (უილსონი 62), სევიჯი, ჯაპი, ჰესკი**
**1:0, 2:0 ტომპსონი (52, 89)**

მეტად უინტერესო შეხვედრა თანაბარი იყო, მაგრამ შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე, გასულ სეზონში ლიგის თასის მფლობელთა ნახევარმცველი ალერტონი გააგდეს და „ბოლტონმაც“ მხოლოდ ამის შემდეგ იხეირა.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 32 | 19 | 6 | 7 | 60:23 | 63 |
| არსენალი | 29 | 16 | 9 | 4 | 48:26 | 57 |
| ლივერპული | 31 | 15 | 9 | 7 | 54:34 | 54 |
| ჩელსი | 30 | 15 | 3 | 12 | 59:35 | 48 |
| ლიდსი | 30 | 14 | 6 | 10 | 45:30 | 48 |
| ბლექბერნი | 29 | 13 | 9 | 7 | 49:38 | 48 |
| დერბი | 30 | 13 | 6 | 11 | 44:40 | 45 |
| ვესტ ჰემი | 29 | 13 | 5 | 11 | 41:38 | 44 |
| ქოვენთრი | 30 | 11 | 10 | 9 | 36:35 | 43 |
| საუთჰემპტონი | 31 | 13 | 4 | 14 | 41:43 | 43 |
| ასტონ ვილა | 32 | 12 | 6 | 14 | 38:42 | 42 |
| ლესტერი | 30 | 10 | 10 | 10 | 35:32 | 40 |
| შეფილდი | 31 | 10 | 7 | 14 | 45:58 | 37 |
| უიმბლდონი | 29 | 9 | 8 | 12 | 30:34 | 35 |
| ნიუკასლი | 30 | 9 | 8 | 13 | 28:35 | 35 |
| ტოტენჰემი | 31 | 9 | 7 | 15 | 32:48 | 34 |
| ევერტონი | 31 | 8 | 9 | 14 | 35:46 | 33 |
| ბარნსლი | 30 | 9 | 4 | 17 | 31:69 | 31 |
| ბოლტონი | 30 | 6 | 12 | 12 | 29:47 | 30 |
| კრ. პალასი | 31 | 6 | 8 | 17 | 27:54 | 26 |

## პირველი დივიზიონი

### ბრედფორდი 2:1 სიტი

**სიტი: მარგეტსონი, ჯეფ უაიტლი, ედჯილი, ჯობსონი, საიმონსი, ცხადაძე (რასელი 70), ჯიმ უაიტლი, პოლაკი, გოატერი, ბიშოპი (ვიკერსი 52), როსლერი (ბრედბერი 80)**
**0:1 ჯეფ უაიტლი (24), 1:1 პეპერი (49), 2:1 ედინიო (66)**

შეხვედრის ბოლო წუთზე მანჩესტერელთა კინკილა გოლის ავტორი ჯეფ უაიტლი მეორე გაფრთხილების გამო გააგდეს.

## თურქეთი

28-ე ტური. ქოჯაელი — ფენერბაჰჩე 2:1; ისთანბული — გენჩლერბირლიგი 3:3; ალთაი — ტრაბზონი 1:1; ქარაბუქი — შექერსფორი 1:0; ვანსფორი — დარდანელი 3:0; ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 2:1; ანთალია — ბურსა 2:2; ქაისერი — გაზიანთეფი 1:0; გალათასარაი — სამსუნი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 28 | 18 | 5 | 5 | 65:36 | 59 |
| ფენერბაჰჩე | 28 | 17 | 6 | 5 | 47:20 | 57 |
| ტრაბზონი | 28 | 16 | 7 | 5 | 55:30 | 55 |
| ისთანბული | 28 | 12 | 10 | 6 | 49:31 | 46 |
| ბეშიქთაში | 28 | 12 | 7 | 9 | 49:34 | 43 |
| ბურსა | 28 | 12 | 7 | 9 | 42:36 | 43 |
| სამსუნი | 28 | 11 | 7 | 10 | 35:33 | 40 |
| ქარაბუქი | 28 | 12 | 4 | 12 | 29:38 | 40 |
| ალთაი | 28 | 10 | 8 | 10 | 31:37 | 38 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 10 | 7 | 11 | 32:35 | 37 |
| ქოჯაელი | 28 | 10 | 6 | 12 | 37:36 | 36 |
| დარდანელი | 28 | 9 | 9 | 10 | 30:30 | 36 |
| გენჩლერბირ. | 28 | 8 | 9 | 11 | 36:38 | 33 |
| ქაისერი | 28 | 9 | 4 | 15 | 29:45 | 31 |
| ანთალია | 28 | 7 | 9 | 12 | 41:48 | 30 |
| შექერსფორი | 28 | 7 | 5 | 16 | 28:61 | 26 |
| გაზიანთეფი | 28 | 5 | 9 | 14 | 29:39 | 24 |
| ვანსფორი | 28 | 4 | 7 | 17 | 23:60 | 19 |

## ისრაელი

24-ე ტური. ირონი (რიშონი) — ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) 2:1; ბეითარი — მაკაბი (ჰერცლია) 3:2; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:3; ირონი (აშდოდი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 4:2; მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) — მაკაბი (ჰაიფა) 1:1; ჰაპოელი (ქფარ სავა) — ჰაპოელი (ბეერშევა) 2:2; ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (აშქელონი) 4:1; ჰაპოელი (ბეით შეანი) — ბნეი იეჰუდა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰ. თელ ავივი | 24 | 17 | 5 | 2 | 30:10 | 56 |
| ბეითარი | 24 | 15 | 8 | 1 | 61:28 | 53 |
| ჰ. ჰაიფა | 24 | 13 | 8 | 3 | 47:22 | 47 |
| მ. ჰაიფა | 24 | 13 | 5 | 6 | 42:28 | 44 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 24 | 9 | 6 | 9 | 32:32 | 33 |
| ი. აშდოდი | 24 | 8 | 8 | 8 | 33:38 | 32 |
| ჰ. ქფარ სავა | 24 | 8 | 7 | 9 | 29:30 | 31 |
| ჰ. იერუსალიმი | 24 | 7 | 9 | 8 | 29:33 | 30 |
| მ. ჰერცლია | 24 | 7 | 7 | 10 | 28:32 | 28 |
| ი. რიშონი | 24 | 7 | 6 | 11 | 30:38 | 27 |
| მ. თელ ავივი | 24 | 6 | 8 | 10 | 26:29 | 26 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 24 | 5 | 11 | 8 | 17:24 | 26 |
| ჰ. ბეით შეანი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:36 | 25 |
| ბნეი იეჰუდა | 24 | 5 | 7 | 12 | 18:29 | 22 |
| ჰ. ბეერშევა | 24 | 4 | 8 | 12 | 28:48 | 20 |
| ჰ. აშქელონი | 24 | 4 | 6 | 14 | 19:37 | 18 |

## სლოვენია

23-ე ტური. მარიბორი — მურა 2:1, ველენჟე — კოროტანი 2:0, ბელტინჩი — გორიცა 2:1, ვევცე — პუბლიკუმი 4:1, პრიმორიე — ოლიმპია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურა | 23 | 14 | 5 | 4 | 44:26 | 47 |
| მარიბორი | 23 | 14 | 1 | 8 | 37:22 | 43 |
| პრიმორიე | 23 | 12 | 3 | 8 | 45:34 | 39 |
| ოლიმპია | 23 | 9 | 9 | 5 | 36:32 | 36 |
| გორიცა | 23 | 10 | 4 | 9 | 37:25 | 34 |
| პუბლიკუმი | 23 | 9 | 6 | 8 | 40:38 | 33 |
| ველენჟე | 23 | 7 | 7 | 9 | 26:24 | 28 |
| კოროტანი | 23 | 6 | 7 | 10 | 20:32 | 25 |
| ბელტინჩი | 23 | 6 | 4 | 13 | 28:47 | 22 |
| ვევცე | 23 | 3 | 4 | 16 | 20:53 | 13 |

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 34 | 18 | 9 | 7 | 38:22 | 63 |
| ესტრემადურა | 34 | 18 | 9 | 7 | 48:33 | 63 |
| ვილიარეალი | 34 | 15 | 13 | 6 | 42:32 | 58 |
| ლას პალმასი | 34 | 14 | 15 | 5 | 59:39 | 57 |
| სევილია | 34 | 14 | 8 | 12 | 39:37 | 50 |
| ბადახოსი | 33 | 12 | 13 | 8 | 37:26 | 49 |
| ერკულესი | 34 | 13 | 10 | 11 | 41:36 | 49 |
| ლეიდა | 34 | 14 | 7 | 13 | 41:40 | 49 |
| ლეგანესი | 34 | 12 | 13 | 9 | 36:36 | 49 |
| ატლეტიკო | 34 | 13 | 9 | 12 | 50:41 | 48 |
| ეიბარი | 34 | 12 | 12 | 10 | 31:25 | 48 |
| რაიო | 34 | 13 | 8 | 13 | 37:34 | 47 |
| ორენსე | 34 | 12 | 10 | 12 | 33:32 | 46 |
| ოსასუნა | 33 | 11 | 10 | 12 | 29:28 | 43 |
| ალბასეტე | 34 | 11 | 9 | 14 | 36:43 | 42 |
| ტოლედო | 34 | 9 | 14 | 11 | 32:38 | 41 |
| ელჩე | 34 | 9 | 11 | 14 | 38:46 | 38 |
| ხაენი | 34 | 7 | 13 | 14 | 27:41 | 34 |
| ნუმანსია | 34 | 7 | 13 | 14 | 22:42 | 34 |
| ლოგრონიესი | 34 | 6 | 15 | 13 | 24:34 | 33 |
| სერესი | 34 | 6 | 13 | 15 | 18:35 | 31 |
| ლევანტე | 34 | 6 | 8 | 20 | 28:46 | 26 |

**ბულგარეთის** ეროვნული გუნდის კაპიტანს ტრიფონ ივანოვს სოფიის ცსკა-ს გულშემატკივრების წინაშე ბოდიშის მოხდამ მოუწია. მიზეზი ხრისტო სტოიჩკოვი გახლდათ, რომელიც ცსკას „ბარსელონადან" ორი კვირის წინ შეუერთდა. გასულ შაბათს, ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრაში სოფიის გუნდს ივანოვი კი არა, სტოიჩკოვი კაპიტნობდა, მაგრამ იგი 65-ე წუთზე შეცვალეს. მოედნიდან გასვლის წინ ევროპის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ივანოვთან მიირბინა რათა სამკლაური გადაებარებინა, მაგრამ მარად გაუპარსავმა მცველმა არ გამოართვა. თურმე გაბრაზებული ყოფილა, თავიდანვე მე რად არ მაკაპიტნესო. როგორც გაცნობეთ, მოგვიანებით ივანოვმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში: „ემოციას ავყევი და საძაგლად მოვიქეცი" — აღიარა მან პრესკონფერენციაზე.

**დანიის ჩემპიონატის 21-ე ტური. ოდენსე — AB კოპენჰაგენი 3:0, ორჰუსი — იკასტი 3:1, FC კოპენჰაგენი — ორჰუს ფრემადი 3:1, ჰერფოლგე — ბრონდბიუ 1:2, ლუნგბიუ — ვეილე 0:2, სილკებორგი — ოლბორგი 4:0. 49 ქულით ლიდერობს „ბრონდბიუ", 42 ქულით მეორეზეა „კოპენჰაგენი", ხოლო მესამეზე იმდენივე ქულიანი „სილკებორგია".**

**პოლონეთის** ჩემპიონატის 21-ე ტური. ლეხი — გურნიკი 2:2, ზაგლებიე — ვიძევი 2:0, ოსტროვეცი — ვისლა 0:1, ლკს — ოდრა 2:0, ლეგია — რაკოვი 2:0, ამიცა — პოლონია 1:1, პეტროხიმია — გროსლინი 1:0, სტომილი — პოგონი 2:1. რაც შეეხება კატოვიცეს გკს-ს და „რუხის" მატჩს, იგი ვერ დამთავრდა. პირველი ტაიმის შემდეგ 0:0 იყო, მეორე კი სულაც ჩაიშალა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ხულიგანმა გულშემატკივრებმა პოლიციასთან ომი გამართეს. თავადაც სამკურნალონი შეიქნენ და წესრიგის დამცველებიც გვერდით მოიწვიეს. ახლა სასამართლოში 53 ადამიანის წინააღმდეგ აღიძვრება საქმე. აურზაური პირველ ტაიმშიც არ აკლდა მატჩს. 25-ე წუთზე გკს-ს ფანები მოედანზე გაიჭრნენ და მსაჯს 10 წუთით შეაწყვეტინეს იგი. ხულიგანთა უმეტესობა მთვრალი იყო. ცხრილის სათავეში 41 ქულით ვარშავის „ლეგიაა". 40-ით მეორეზეა ლოძის ლკს, მესამეზე კი 37-ქულიანი „პოლონიაა".

**იუგოსლავიაში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" საჯაროდ უარჰყო იტალიურ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები, თითქოს მისი ნაქები ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი გვარიან თანხად რომის „ლაციოს" გაურიგდა. „ის, რაც პრესაში ეწერა ჩვენ მართლა რომ გავაკეთოთ, შტერები ვიქნებით. სტანკოვიჩს არც „ლაციოსთან" კონტრაქტისთვის მოუწერია ხელი და არც რომელიმე სხვა კლუბთან შეთანხმებულა. სამწუხაროა, რომ ასეთმა პუბლიკაციებმა კლუბში ნევროზული ვითარება შექმნა. არადა, წინ მიმდინარე სეზონის უმნიშვნელოვანესი შეხვედრებია. მთელი თვეა, რაც ნაყოფიერ მუშაობას ვერ ვახერხებთ — დაიხივლა ბულგარეთის გაზეთ „სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში „ცრვენა ზვეზდას" დირექტორმა დრაგან გაჯიჩმა. იტალიური გაზეთები კი წერდნენ, რომ 19 წლის სტანკოვიჩი „ლაციოს" 13 მილიონ დოლარად მიჰყავს და 1999 წლიდან თავისთან ათამაშებს. სტანკოვიჩისა და „ცრვენა ზვეზდას" დღევანდელი კონტრაქტი 2002 წლამდეა გაფორმებული.**

**ბრაზილიის** 23 წლამდელთა ნაკრებს თავს ლაფი დაესხა. ავსტრალიაში ტურნეზე ჩასულმა ამ ქვეყნის თანატოლებთან რვა დღეში სამი შეხვედრა წააგო. პირველ ორ მატჩზე 2:1 და 3:2 რომ დამთავრდა, ადრე გაუწყეთ. ჰოდა მესამე თამაშიც პირველის მსგავსად, 2:1 დამთავრდა. მიუხედავად სამი წაგებისა, ბრაზილიელ ახალგაზრდათა თავკაცმა ტონინიუ ბაროსუმ სახიდან ღიმილი არ მოიშორა და პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს მხნედ ესაუბრა. „სამი თამაშის გამართვა ჩინებული იდეა იყო, ჩემმა ფეხბურთელებმა საერთაშორისო ასპარეზზე ბრძოლის გამოცდილება შეიძინეს. იმთავითვე ვიცოდი, რომ წინასწარი, საფუძვლიანი მომზადების გარეშე წაგება სრულიად ლოგიკური შედეგი იქნებოდა. ამიტომაც დიდად არაფერს განვიცდი. ვიმეორებ, ავსტრალიურმა ტურნემ ვეებერთელა გამოცდილება შეგვძინა" — განაცხადა ბაროსუმ, რომელმაც ერთობ

## ფეხბურთის რუკასთან



შეაქო ავსტრალიელების მწვრთნელი რაულ ბლანკო, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადისთვის რომ ამზადებს გუნდს. თავად ბლანკო ბრაზილიელების ზედიზედ სამჯერ ძლევისგან აღფრთოვანებული ამბობდა, ჩემს გუნდს წინ საუცხოო წლები და გამარჯვებები ელისო. მიუხედავად აღფრთოვანებისა, იგი მაინც ცდილობდა რეალიზმის გრძნობა არ დაეკარგა: „ჩვენ მშვიდად უნდა გავაანალიზოთ, რაც მოხდა. ვიცი, ჯერ დიდი სამუშაო გველის. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელთა და ბრაზილიელთა მესამე შეხვედრაში მასპინძლები 23-ე წუთისთვის უკვე 2:0-ს იგებდნენ.

**ინგლისში „უემბლის" გამო ატეხილი წია-წია როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, ლონდონურმა კლუბმა „არსენალმა", თავს რომ იკლავდა ეგ ეროვნული სტადიონი მე უნდა ვიყიდოო, სიტყვა გადათქვა. „მეთოფეებმა" ზოგადინგლისური ინტერესების სასარგებლოდ „გასწირეს თავი", ზოგადინგლისური ინტერესი კი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ხელთ გდება გახლავთ. მოგეხსენებათ, იქ, ლონდონში „უემბლის" რეკონსტრუქცია აქვთ ჩაფიქრებული. უნდათ, 8 წელიწადში მის ადგილზე ფაქტობრივად ახალი სარბიელი წამოჭიმონ. ამასთან დაკავშირებით ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ტონი ბენქსმა ამასწინათ განაცხადა, მსურს „უემბლი" კვლავ ეროვნულ სტადიონად დარჩეს და რომელიმე კლუბს არ გადაეცესო. ასეთი უკანდახევის შემდეგ „არსენალს" ისევ „ჰაიბრის" 38-ათასიან სტადიონზე მოუწევს დარჩენა, რაც მას არაფრით აწყობს, რადგან მის თამაშებზე დასწრების მსურველი გაცილებით მეტია.**

**საფრანგეთში** მარსელის „ოლიმპიკის" ყოფილი პრეზიდენტი ბერნარ ტაპი კლუბის ხაზინიდან 20 მილიონი დოლარის გაფლანგვაში თუ ემხილა, ციხეში ჯდომა კიდევ უფრო მეტხანს მოუწევს. ბრალმდებელმა მოსამართლეს ტაპისთვის ოთხწლიანი პატიმრობის მისჯა და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან მისი ხუთი წლით მოშორება ითხოვა.

**პორტუგალიურმა „ბენფიკამ" ჩეხი კარელ პობორსკის შეძენის საზღაური ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედს" გარკვეული დაგვიანებით გადაურიცხა. თანაც ჭერჭერობით გადასარიცხი გახლდათ არა მთლიანი თანხა, არამედ მისი პირველი ნაწილი. „ლისაბონელთა პრეზიდენტი ჟოაო ვალე ე აზევედუ მანჩესტერის კლუბს თავად დაუკავშირდა და დაგვიანებისთვის ჯარიმის გადახდა იკისრა. ორ კლუბს შორის კვლავ ჩინებული ურთიერთობაა" — უთხრა სააგენტო „როიტერს" „ბენფიკას" პრეს-ატაშემ ჟლადიუ პარამესმა. როგორც ცნობილია პორტუგალიელებს ინგლისში თანხის პირველი ნაწილი, 3,5 მილიონი გირვანქა ანუ 5,9 მილიონი დოლარი თებერვალში უნდა გადაერიცხათ.**

**სამხრეთ ამერიკის** ლიბერტადორესის თასი. პირველი ჯგუფი: ამერიკა (კოლუმბია) — დეპორტივო კიტო (ეკვადორი) 2:1, მესამე ჯგუფი: კოლო კოლო (ჩილე) — კერო პორტენო (პარაგვაი) 1:2, მეოთხე ჯგუფი: პენიაროლი (ურუგვაი) — ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) 6:1. სულ ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში ხუთი ოთხგუნდიანი ჯგუფია. თითოეული ჯგუფის სამი საუკეთესო პლუს თასის ახლანდელი მფლობელი, ბრაზილიური „კრუზეირო" მეორე ეტაპზე გააგრძელებენ ბრძოლას.

**ბულგარეთის ჩემპიონატის 22-ე ტური. სპარტაკ პლევენი — სპარტაკ ვარნა 1:3, ლიტექსი — ლოკომოტივი პლოვდივი 6:0, ეტარ ველიკო — ლევსკი კუსტენდილი 1:4, ბოტევი — ლოკომოტივი სოფია 2:1, დობრუჯა — ოლიმპიკი 4:2, სლავია — ნეფტოხიმიკი 2:0, მინორი — ლევსკი სოფია 2:1, ცსკა — მეტალურგი 2:0. 55 ქულით ცხრილს სათავეში უდგას „ლიტექსი", 49 ქულით მეორე ადგილზეა სოფიის „ლევსკი", ხოლო სოფიის ცსკა 46 ქულით მესამეზეა.**

**რუსეთის** ჩემპიონატის პირველი ტური. ზენიტი — სპარტაკი 2:1, ლოკომოტივი — ტიუმენი 4:0 (მეორე გოლი 59-ე წუთზე ზაზა ჯანაშიამ გაიტანა), შინიკი — ტორპედო 1:0, ჩერნომორეცი — ცსკა 1:1, დინამო — ბალტიკა 1:1, ჟემჩუჟინა — კრილია სოვეტოვი 0:2 (მეორე გოლი 87-ე წუთზე ზურაბ წიკლაურმა გაიტანა), ალანია — ურალანი 1:0 (გოლი მე-15 წუთზე დავით ჩალაძემ გაიტანა).

**ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი ნიკო ვან კერკხოვენი „ლიერსიდან" გერმანულ „შალკეში" გადადის. იგი ახალ გუნდში მომდევნო სეზონიდან ითამაშებს. ვან კერკხოვენი 27 წლისაა. მან გელზენკირხენელებთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ოღონდ ეს ამბავი გერმანელებს რა დაუჯდათ, ცნობილი არ არის. „შალკეს" მენეჯერის რუდი ასაუერის განცხადებით ის და მისი კოლეგები ბელგიელი ფეხბურთელის გადაბირებას აგერ უკვე წელიწადნახევარია ცდილობენ. სხვათა შორის ვან კერკხოვენის შეძენა „შალკეს" გარდა სხვა კლუბებსაც სურდათ, რომელთა შორისაც იყვნენ ჰოლანდიური „ეინდჰოვენი" და გერმანული ლევერკუზენის „ბაიერი".**

**ხორვატიაში** რეგულარული ჩემპიონატი ორად გაიყო. ექვსმა საუკეთესო გუნდმა A ჯგუფი შექმნა და ტიტულისთვის იბრძვის, დანარჩენები B ჯგუფში დარჩნენ და შეეცდებიან ლიგიდან არ გავარდნენ. რაც შეეხებათ რეგულარულ ჩემპიონატში მოპოვებულ ქულებს, იგი გუნდებს ორზე გაუყვეს და პლეი-ოფის ეტაპზე გადააყოლეს. ახლა A ჯგუფის შედეგებს გთავაზობთ: კროაცია — ჰაიდუკი 2:1, ოსიეკი — ზაგრები 1:0, ზადარკომერცი — ჰრვატსკო დრაგოვილიაჩი 0:1. 31 ქულით ლიდერობს „კროაცია", 25-ით მეორეა „ჰაიდუკი", ხოლო 22 ქულა აქვს მესამეზე მყოფ „ზაგრებს".

**სლოვენიის ჩემპიონატის მე-20 ტური. კოშიცე — სპარტაკ ტრნავა 4:0, ტრენცინი — ინტერი ბრატისლავა 1:0, სლოვანი ბრატისლავა — რუჟომბეროკი 0:0, არტმედია — ზილინა 1:0, ტაურის რიმავსკა — ტატრანი 1:1, პეტრიმექსი — ჰუმენე 3:0, დუკლა ბანსკა — ლოკომოტივი კოშიცე 1:2, დუნაოსკა სტრედა — ბარდეიოვი 1:0. 49 ქულით ლიდერობს „კოშიცე", 44 ქულით მეორეზე ტრნავას „სპარტაკია", 36 ქულით კი ბრატისლავის „ინტერია" მესამეზე.**

**შოტლანდიური** „სელტიკის" მცველი სტეფან მაე, როგორც ჩანს, სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. მან მუხლი დაიზიანა. ეს ფრანგი ფეხბურთელი კვირას, „ჰართსთან" თამაშის დროს მოედნიდან საკაცით გაიყვანეს, გუშინ რენტგენოგრამაც გადაუღეს და სავალალო შედეგი ნახეს. მაემ თქვა: „არ ვიცი რა მჭირს, მაგრამ მუხლი ისევ მტკივა და ამან ძლიერ დამწყვიტა გული". მაე 29 წლის მოთამაშეა. იგი შოტლანდიის დედაქალაქს ფრანგული „რენიდან" გასული წლის აგვისტოში გადავიდა და ის, რომ დღეს „სელტიკი" ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა. აღსანიშნავია, რომ მაემ ტრავმა „სელტიკ" — „რეინჯერსის" დერბიმდე 7 დღით ადრე მიიღო.

**ისრაელის ფირმამ „ორადმა" ვირტუალური კამერებითა და პერსონაჟთა კომპიუტერული გაცოცხლებით დაადგინა, რომ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ინგლისმა გერმანიას სამართლიანად მოუგო ანუ გოლი, რომელიც ჯეფ ჰერსტმა გაიტანა (ბურთი ხარიხას მოხვდა და მიწაზე დაეშვა, მაგრამ ხაზს აქეთ თუ იქით? საბჭოთა თანამსაჯმა ტოფიკ ბახრამოვმა გოლი ჩათვალა, ანგარიში ინგლისის სასარგებლოდ 3:2 გახადა. შემდეგ კი მასპინძლებმა მეოთხეც გაიტანეს), უნდა ჩათვლილიყო.**

**ინგლისის** ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც რასისტულ ლანძღვას იკადრებს, მოედნიდან წითელი ბარათის ძალით გაბრძანდება. ხელისუფალთა გადაწყვეტილებას ფეხბურთის ასოციაციამ შესაბამისი კანონის შემოღებით უნდა უპასუხოს. მოგეხსენებათ, სპორტული რასიზმი ინგლისური ფეხბურთისთვის მტკივნეული თემაა.

დარჩა FRANCE 98 75 დღე

## ფუტიქსის დროშით
# სამწუხაროა



პაოლო სეზარ კარპეჯანი

პარაგვაიმ კოლუმბიასთან 3:1 იამხანაგა. შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უფრო ზუსტად კი კონექტიკუტის ქალაქ ნიუ ჰეივენში გაიმართა, სტადიონზე, რომელსაც „იეილ ბოულს" უწოდებენ. თავიდან კოლუმბიელებმა გახსნეს ანგარიში, გოლი მე-12 წუთზე ალექს კომასმა გაიტანა, მაგრამ პარაგვაი ტაიმის დამთავრებას არ დალოდებია, 43-ზე მიგელ ბენიტესის მონდომებით გაქვითა.

— სიმართლე გითხრათ ანგარიშით ერთობ უკმაყოფილო დავრჩი — თქვა პრესკონფერენციაზე პარაგვაელთა გუნდის თავკაცმა პაოლო სეზარ კარპეჯანიმ — მეგონა მეტს მოვახერხებდით. ამ მატჩში უპირატესობა ერთ გუნდს უნდა ჰქონოდა. გამოსავალი იქნებოდა იმის თქმა, რომ ტოლძალოვანი გუნდები გვყავს. სამწუხაროდ ჩვენ მხოლოდ მეორე ტაიმში გვქონდა შანსები.

# კომერსანტი ონოს დებიუტი

იაპონიას სამხრეთ კორეასთან გავარჯიშება და ორი უწვერული ფეხბურთელის გამოცდა გადაუწყვეტია. ერთი მათგანია შინჯი ონო, 18 წლის, კუნთმაგარი ნახევარმცველი „ურავა რედ დაიმონდზიდან", მეორე კი მასზე თორმეტი თვით უმცროსი დაისუკე იჩიკავა. დაისუკე „შიმიცუ ეს-პალსიდანაა".

იაპონელები და კორეელები ხვალ სეულის „ჩამსილ სტადიუმზე" შეიბმებიან.

ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრები თავდასხმაში ვეტერან კაზუ მიურასა და ბრაზილიური წარმოშობის ვაგნერ ლოპესს ვერ გაამწესებს. მიურა, რომელსაც ერთიორჯერ თვით იტალიის სერია A-ში გაურბენია, ნაკრებს მიღმა დასტოვეს, რადგან ბოლო დროს იმტაზე ველარაა, ვაგნერი კი დაშავებულია და მკურნალობს. ისე მიურას შინ დატოვება იაპონური სენსაციაც კია. სამი წელიწადია მას ეროვნულ გუნდში თამაში არ გამოუტოვებია, ახლა კი 21 წლის აცუში იანაგისავათი შეცვალეს.

— ჯეი ლიგაში სულ ორი თამაში მაქვს ჩატარებული და უკვე ნაკრებში ამიყვანეს. ძალიან გაკვირვებული ვარ — ეს სიტყვები ონოს ეკუთვნის — თუ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ მართლა მათამაშებენ, შევეცდები გამოცდილება შევიძინო.

ონოს შუმიცუს უმაღლესი კომერციული სკოლა აქვს დამთავრებული. ბოლო გამოცდა სამი კვირის წინ ჩააბარა, მაგრამ უფრო ცნობილი ცხადია ფეხბურთითაა. მისი ტექნიკა და ფარული პასები მოსწონთ, თურმე მოძრაობაში სხარტია და ორ თამაშში ერთი გოლის გატანა მოუსწრია კიდეც.

— ონომ პასები ისე დახვეწა, რომ მარჯვენა მცველად მისი თამაში უკვე არასწორია — თქვა იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა ტაკეში ოკადამ, ხვალის მატჩზე კი დასძინა — ჩვენცა და სამხრეთ კორეელებსაც ეს თამაში კარგი მომზადების საშუალებას მოგვცემს.

ხვალინდელი შეხვედრის გარდა იაპონელთა გეგმაშია: 17 მაისის თამაში პარაგვაისთან და 24 მაისისა ჩეხეთთან. ორივე შეხვედრა კირინის თასისაა. 31 მაისს ლოზანაში შვეიცარიასთან, 3 ივნისს კი იქვე იუგოსლავიასთან გაჯიბრება და ბოლოს, 7 ივნისს საფრანგეთში რომელიმე იქაურ კლუბთან წათამაშება.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

**უეფას თასი.** ნახევარფინალი

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინტერი — სპარტაკი | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| ატლეტიკო — ლაციო | (3,1-1,25) | 2,6 | 2,7 | 2,6 |

**ჩემპიონთა ლიგა.** ნახევარფინალი

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი — მონაკო | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| რეალი — დორტმუნდი | (1,6-1,8) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**თასების თასი.** ნახევარფინალი

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა — ჩელსი | (2,5-1,35) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| შტუტგარტი — ლოკომოტივი | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | | 1,8 | 3,2 | 2,9 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა

31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი —ბარნსლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბოლტონი — არსენალი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| უიმბლდონი — ნიუკასლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პირველი დივიზიონი

1 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნოტინგემი — შეფილდ იუნაიტედი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — ვულვერჰემპტონი | 2,2 | 3,2 | 2,7 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

1 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — გრონინგენი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,7 |

**ავსტრიის ჩემპიონატი**

31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — აუსტრია | 1,8 | 3,0 | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა


ქართველოლოგ-ი — ქარიყლაპია

263

ქართველოლოგ-ი (ქართველოლოგისა) იგივეა, რაც ქართველთმცოდნე.

ქართველოლოგია (ქართველოლოგიისა) იგივეა, რაც ქართველთმცოდნეობა.

ქართველოლოგიურ-ი (ქართველოლოგიურისა) ქართველოლოგიასთან დაკავშირებული. ... ქართველოლოგიურ დისციპლინებს (ახალგაზრდა განათლება).

ქართველურ-ი (ქართველურისა) ქართველის დამახასიათებელი. ... ქართველური გრძნობა ჰქონდა..., ... არ ესმოდა (ა. ყაზბ.). ... კარგი ქართველური ... (ი. გოგებ.). ქართველურად ... როგორც ქართველს შეეფერება ... თვალს მოატყუებს, გამოიდ... ერთს ქართველურად ... მაგ შენს ამწვანებულს ... (ჰ. ხარაზ.). სტუმარი თავდაღუნვით შე...

ქართლოსიანთა მენი მმებთან შეკრულან ... (ა. აბაშ.).

ქართლურ-ი (ქართლურისა) ქართლისა ან ქართლელებისათვის დამახასიათებე... ქართლიდან მომდინარე, — ქართლისა. ... ლური კილო.

ქართულ-ი (ქართულისა) 1. საქართველო... ქართველების კუთვნილი, დამახასიათებე... ქართული ენა. — ქართული ანბანი. — ფერე... ში ... თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართულ ხელი ჰქვია (ი. გოგებ.). ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქა... ლი ნანა გვზრდიდა, ალგვეგავა მტერი რისხვით... რავი (ან. კალანდ.). 2. ქართული ენა. აკაკი... თელს არა ერთხელ ... უმოქმედებია ... თავისი ... ლიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართ... (ილია). ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას ... და ქართული (ჭ. ლომთ.). 3. ქართული სიტყვა. ნუ მემახ... ყინს ამისთანა ქართუ... ...ი მოგახსენო“ (თ. ... ლი, არა ქმნას სიტყ... ქართულია? რა სიტ... ...გი ქართულია კარ... ...ამია. || სწორი ქარ... ...ია. 4. ქართველე... ...ული უძველესი ხალ...

...ბადრიჯანი. ... რომ არის, ისე... შობის წინადღე... კალოზე ..., სა... თუ უქარო დღე, || სადაც ქარი ... იფარება ტყე... ...ატ. იხ. თავ... ქარიანი, ავის ქვე... ...თარგმ.). ◊ ქარიანი ენა გადატ. დაუფიქრებლის მთქმელი (ენა). „ნუ იტყვით ვაჟკაცის ავგს ენითა ქარიანითა“ (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანი.

ქარიანობა (ქარიანობისა) 1. ხშირად ქარის ქროლა, მუდმივი ქარი. 2. იგივეა, რაც თავქარიანობა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანობა.

ქარიბერტყია (ქარიბერტყიასი) საუბ. იგივეა, რაც ქარაფშუტა. გუავდა ტარიელ, თუ ავთანდილად ქარიბერტყია გუსარი ხმალით? (გ. ლეონ.).

ქარიზ-ი (ქარიზისა) [თურქ. ქārīz „მიწის ქვეშა არხი“] ძვ. იხ. ღრუდო.

ქარიფანტია (ქარიფანტიასი) საუბ. იგივეა, რაც ქარაფშუტა.



ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

## კალათბურთი

რეგულარული ჩემპიონატი

# ხალხს უნდა ჯორდანი!

27 მარტი

### ატლანტა 74:89 ჩიკაგო

**ატლანტა: ლეიტნერი (13)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (34)**

კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანი კლუბის ბოსებთან კონფლიქტის გამო ბოლო სეზონს ატარებს მშობლიურ გუნდში. ვინ იცის, იქნებ ამით დიდ კალათბურთსაც ეთხოვება... მისი ჩიკაგო რეგულარულ ჩემპიონატში ბოლოჯერ შეხვდა „ატლანტა ჰოქსს“ და „მისი ჰაერის უდიდებულესობა“ მაიკლ ჯორდანის სანახავად ატლანტის დარბაზ „ჯორჯია დოუმს“ ლამის ნახევარი ქალაქი მიაწყდა, მაგრამ 62 046 კაცზე მეტი ვერ დაიტია. ერთი მატჩზე დასწრების რეკორდი 63 კაცით გაუმჯობესდა. ეს რეკორდი 1988 წელს ბოსტონის სტუმრობისას დეტროიტის „პონტიაკ სილვერდოუმში“ დამყარდა.

ატლანტელი „ქორები“ ამხელა აუდიტორიის წინაშე შერცხვნენ.

### ნიუ ჯერსი 76:82 ბოსტონი

**ნიუ ჯერსი: კასელი (29)**
**ბოსტონი: მერსერი (23), უოლკერი (22+10 მოხსნა)**

### მაიამი 102:77 მილუოკი

**მაიამი: მურნინგი (34+10 მოხსნა)**
**მილუოკი: გილიამი (14)**

### ფილადელფია 85:110 სან ანტონიო

**ფილადელფია: აივერსონი (24)**
**სან ანტონიო: დანკანი (32)**

### ინდიანა 133:96 შარლოტი

**ინდიანა: სმიტსი (24+13 მოხსნა), მილერი (24), როუზი (20)**
**შარლოტი: უესლი (21)**

ინდიანამ მშვენივრად ითამაშა, განსაკუთრებით მისმა ლიდერმა რეჯი მილერმა, რომელმაც გუნდის პირველი 9 ქულა თავის ანგარიშში ჩაიწერა. მას კარგად წაეხმარნენ რიკ სმიტსი, ჯალენ როუზი, ანტონიო დევისი (17 ქულა), კრის მულინი (15) და მათმა გუნდმა სეზონში ყველაზე მეტი — 133 ქულა მიითვალა. ცენტრალური დივიზიონის მეორე გუნდმა მილერის სამქულიანების (5 ჩააგდო 6 სროლიდან) წყალობით პირველი მეოთხედი 14 ქულით მოიგო, მეორე 15-ით და დიდი ჯაფა არც შემდეგ დასდგომია. მესამე მეოთხედის შუაში რეჯი მილერი და შარლოტელი ვლადე დივაცი წაკინკლავდნენ, რაც პირველს თამაშიდან გავარდნად დაუჯდა, მაგრამ უმილერო ინდიანას შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

### კლივლენდი 88:87 დეტროიტი

**კლივლენდი: კემპი (23+12 მოხსნა)**
**დეტროიტი: სტეკჰაუზი (26), ჰილი (25+11 მოხსნა)**

დეტროიტი მატჩის ბოლო წამებზე 87:85 იგებდა, მაგრამ მასპინძელთა მსროლელმა უესლი პერსონმა (16 ქულა) 0,3 წამით (!) ადრე სამქულიანი ჩააგდო.

### ორლანდო 100:75 ჰიუსტონი

**ორლანდო: სტრონგი (20)**
**ჰიუსტონი: უილისი (20)**

ჰიუსტონს კვლავ აკლდნენ ტრავმებით შეჭირვებული ბებრები — ბარკლი და დრექსლერი, თუმცა არც ორლანდოს ჰყავდა უმთავრესი მოთამაშე ანდერსონი, პენი ჰარდევეიზე რომ არაფერი ვთქვათ. მიუხედავად ამისა, ორგზის ჩემპიონი ჰიუსტონი მაინც შერცხვა გუნდთან, რომელიც სწორედ მეორე ჩემპიონობისას ფინალში 4:0 გაანადგურა.

### დალასი 90:99 იუტა

**დალასი: ფინლი (24)**
**იუტა: მელოუნი (33+14 ქულა)**

### ფინიქსი 89:85 ვაშინგტონი

**ფინიქსი: მენინგი (18), ჯონსონი (17+11 პასი + 7 მოხსნა)**
**ვაშინგტონი: ჰოვარდი (22)**

### დენვერი 97:89 გოლდენ სტ.

**დენვერი: ნიუმენი (22), ელისი (21)**
**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (22)**

როგორც იქნა, კვლავ ელირსა საცოდავ დენვერს მოგება, მეცხრე სეზონში. ახლა კოლორადოელებს დარჩენილ 10 მატჩში ერთი მოგებაც ჰყოფნით, რომ აჯობონ ლიგის ისტორიაში ყველაზე უსუსურ გუნდს — ფილადელფიას, ვისაც 1972-73 წლების სეზონში 82 თამაშიდან მხოლოდ 9 მოუგია.

### ვანკუვერი 89:97 ნიუ იორკი

**ვანკუვერი: რივზი (35+14 მოხსნა)**
**ნიუ იორკი: ჯონსონი (23)**

### საკრამენტო 73:90 პორტლენდი

**საკრამენტო: უილიამსონი (16)**
**პორტლენდი: რაიდერი (24)**

პორტლენდს 10 შეხვედრის გამოტოვების შემდეგ დაუბრუნდა დეიმონ სტუდემაიერი და თამაშში 6 ქულა, 12 პასი და 6 მოხსნა გაახერხა. მისმა გუნდმა კი საკრამენტოს ზედიზედ მეცხრედ წააგებინა.

### კლიპერსი 98:100 მინესოტა

**კლიპერსი: მიურეი (20+10 მოხსნა)**
**მინესოტა: მიტჩელი (22)**

28 მარტი

### მაიამი 109:77 ჰიუსტონი

**მაიამი: მარლი (22)**
**ჰიუსტონი: ელი (18)**

ორლანდოსთან შერცხვენილი ჰიუსტონი მაიამიმაც გააბითურა. ხუთეულის ორი წევრის — ფი ჯეი ბრაუნის და ჯამალ მაშბურნის გარეშე ორგზის ჩემპიონები ჯერ კი იბრძოდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედი 7 ქულით, ბოლო მეოთხედი კი სულაც 22 ქულით დათმეს.

### ინდიანა 55:74 სან ანტონიო

**ინდიანა: მულინი (12)**
**სან ანტონიო: დანკანი (24)**

ინდიანა მეტოქეს ორი უმთავრესი მოთამაშის — რეჯი მილერისა და რიკ სმიტსის გარეშე დახვდა და გვარიანადაც შერცხვა. 90-იან წლებში მისი 55 ქულა 48 წუთში ყველაზე უარესი შედეგია.

### ატლანტა 118:85 დეტროიტი

**ატლანტა: სმიტი (20), კორბინი (20)**
**დეტროიტი: უილიამსი (22)**

### კლივლენდი 97:82 შარლოტი

**კლივლენდი: კემპი (24+11 მოხსნა)**
**შარლოტი: გეიგერი (27)**

### მილუოკი 87:104 ჩიკაგო

**მილუოკი: ალენი (27)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (30)**

ჩიკაგოს აკლდა სკოტი პიპენი, თუმცა ხანგრძლივი, რამდენიმეკვირიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა ავსტრალიელი ცენტრი — ლუკ ლონგლი და 28 წუთში 14 ქულით, 9 მოხსნით და 5 პასით შეეშველა თავისიანებს.

### ტორონტო 68:95 ორლანდო

**ტორონტო: კრისტი (20)**
**ორლანდო: გრანტი (16)**

### იუტა 106:91 ლეიკერსი

**იუტა: მელოუნი (31)**
**ლეიკერსი: ონილი (31)**

### ფილადელფია 99:94 ბოსტონი

**ფილადელფია: კოულმენი (34+12 მოხსნა), აივერსონი (20)**
**ბოსტონი: უოლკერი (32+14 მოხსნა)**

29 მარტი

### საკრამენტო 96:104 მინესოტა

**საკრამენტო: უილიამსონი (35)**
**მინესოტა: გარნეტი (32+14 მოხსნა)**

საკრამენტომ შინ წააგო უშუალო კონკურენტთან და პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიც დაკარგა.

### ფინიქსი 106:98 ვანკუვერი

**ფინიქსი: რობინსონი (20+10 მოხსნა)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (30+12 მოხსნა)**

### გოლდენ სტ. 83:99 პორტლენდი

**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (18)**
**პორტლენდი: რაიდერი (21)**

### ლეიკერსი 116:89 ვაშინგტონი

**ლეიკერსი: ონილი (33+13 მოხსნა)**
**ვაშინგტონი: უებერი (22)**

### კლიპერსი 108:86 დალასი

**კლიპერსი: მიურეი (27)**
**დალასი: ფინლი (24)**

### სიეტლი 104:78 ნიუ იორკი

**სიეტლი: ბეიკერი (17)**
**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (15)**

ირაკლი ფირაშვილი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო* | 55 | 17 | 76,4 |
| მაიამი* | 51 | 21 | 70,8 |
| ინდიანა* | 49 | 22 | 69,0 |
| შარლოტი | 45 | 26 | 63,4 |
| ატლანტა | 42 | 28 | 60,0 |
| კლივლენდი | 40 | 31 | 56,3 |
| ნიუ იორკი | 40 | 32 | 55,6 |
| ორლანდო | 37 | 35 | 51,4 |
| ნიუ ჯერსი | 36 | 35 | 50,7 |
| ვაშინგტონი | 36 | 36 | 50,0 |
| დეტროიტი | 34 | 38 | 47,2 |
| ბოსტონი | 31 | 40 | 43,7 |
| მილუოკი | 30 | 41 | 42,3 |
| ფილადელფია | 26 | 45 | 36,6 |
| ტორონტო | 15 | 55 | 21,4 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| იუტა* | 53 | 17 | 75,7 |
| სიეტლი* | 53 | 18 | 74,6 |
| ლეიკერსი* | 51 | 20 | 71,8 |
| სან ანტონიო* | 49 | 23 | 68,1 |
| ფინიქსი* | 47 | 25 | 65,3 |
| პორტლენდი* | 40 | 31 | 56,3 |
| მინესოტა* | 38 | 34 | 52,8 |
| ჰიუსტონი* | 37 | 34 | 52,1 |
| საკრამენტო | 26 | 47 | 35,6 |
| დალასი | 18 | 54 | 25,0 |
| ვანკუვერი | 16 | 55 | 22,5 |
| კლიპერსი | 16 | 55 | 22,5 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 57 | 20,8 |
| დენვერი | 9 | 63 | 12,5 |

** უკვე გავიდა პლეი ოფში.*

## ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# აიზერმანი და ისტორია

### დალასი 3:1 ნიუ ჯერსი

**შაიბები: კარბონო 7 (1:0), ადამსი 9 (2:0), ბოჯერი 8 (2:1), ადამსი 10 (3:1)**

ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ ნიუ ჯერსის სწორედ დასავლეთის ერთ-ერთ გრანდთან შეხვედრაში სურდა 100-ქულიანი ზღვარის დალაშქვრა და დაღლილი ბროდოც ამიტომ დააყენა კარში, მაგრამ გამარჯვება „ვარსკვლავებს“ უფრო სწყუროდათ. სამ თამაშში მოუგებელი მასპინძლები, რომელთაც აქტივში ერთადერთი გოლი ჰქონდათ, ერთობ მოწადინებულნი იყვნენ და ბოლო-ბოლო მიაღწიეს კიდეც თავისას. ყველაზე მეტად გრეგ ადამსმა იაქტიურა, რომელსაც ტრავმისა და უიღბლობის გამო ოქტომბრის შემდეგ მხოლოდ ერთი შაიბა შეეგდო. მასზე ეტყობა, სასიკეთოდ იმოქმედა ექს-რეინჯერსელი მაიკ კინის გადასვლამ, რომელმაც პირველივე მატჩში ჩინებულად აუბა მხარი (2 პასი) ფორვარდს.

დალასელებმა წლეულს ორივე შეხვედრა მოუგეს ნიუ ჯერსის, რაც „ვარსკვლავებს“ გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას უქმნის მოსალოდნელ საპლეიოფო შეჯახებაში.

### დეტროიტი 4:2 ბუფალო

**შაიბები: ჰოლმსტრიომი 5 (1:0), ოდეტი 20 (1:1), აიზერმანი 21 (2:1), დრეიპერი 12 (3:1), აიზერმანი 22 (4:1), კრუზი 7 (4:2)**



დეტროიტელმა სტივ აიზერმანმა კარიერა გაიმდიდრა

ასეთი იუბილეების წვიმა, ალბათ, კარგა ხანია, არ უხილავთ დეტროიტელებს. თვით ჰაშეკიც კი უძლური იყო — მან მთელი 172 წუთის განმავლობაში შეინახა ხელშეუხებლად კარი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰოლმსტრიომმა ანგარიში გახსნა, დეტროიტის ამოქმედებულ ბომბარდირთა შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. უაღრესად საინტერესო მესამე პერიოდში მაყურებლები სამი მიღწევის მოწმენი გახდნენ. 44-ე წუთზე მასპინძელთა კაპიტნის სტივ აიზერმანის შორეული დარტყმის შემდეგ შაიბა ბუფალოელ მცველს მოხვდა და ჰაშეკს გვერდი აუარა, აიზერმანი კი ნჰლ-ის ისტორიაში მე-13 ჰოკეისტად დამკვიდრდა, რომელმაც 1400 ქულა დააგროვა. სულ 7 წუთში, უმცირესობაში ყოფნისას, ლარი მერფიმ საუცხოო პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კაპიტანი. 4:1 — მატჩის ბედი გადაწყდა, თუმცა კიდევ ერთი მიღწევა წინ იყო: მერფი უკვე 1100 ქულას ითვლის. რაც შეეხება აიზერმანს, მან 561 გოლით მე-12 ადგილიდან განდევნა ლეგენდარული ლეფლერი.

ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერა არც დეტროიტის მეკარე კრის ოსგუდს მოჰკლებია. მისი საუცხოო თამაშის შემყურე ტრიბუნები „ოზი, ოზი“-ს გაჰყვიროდნენ.

*1400-იანები: უეინ გრეცკი 2786, გორდი ჰოუ 1850, მარსელ დიონი 1771, მარკ მესიე 1608, ფილ ესპოზიტო 1590, მარიო ლემიე 1494, პოლ კოფი 1471, სტენ მიკიტა 1467, რონ ფრენსისი 1426, ბრაიან ტროტიე 1425, დეილ ჰავერჩუკი 1409, რეი ბურკი 1405, სტივ აიზერმანი 1400.*

**27 მარტი.** ჩიკაგო — ოტავა 2:1, ედმონტონი — ბუფალო 0:1.
**28 მარტი.** ბოსტონი — ფლორიდა 2:3, პიტსბურგი — რეინჯერსი 2:2, მონრეალი — ტამპა 8:2, ფილადელფია — კაროლინა 2:4, ტორონტო — აილენდერსი 4:3, სენტ ლუისი — დეტროიტი 3:2, დალასი — სან ხოსე 1:4, კოლორადო — ანაჰაიმი 5:3, ფინიქსი — ნიუ ჯერსი 0:3, კალგარი — ლოს ანჯელესი 5:2, ვანკუვერი — ვაშინგტონი 2:8.
**29 მარტი.** კაროლინა — ფილადელფია 1:3, პიტსბურგი — ოტავა 1:1, დეტროიტი — ბუფალო 4:2, ჩიკაგო — ფლორიდა 0:4, დალასი — ნიუ ჯერსი 3:1.

კოლორადოს მიერ „დედლაინზე“ ფლორიდელი ტომ ფიცჯერლდის გადაბირებას და მის მესამე-მეოთხე სამეულებში გამოყენებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა — მეტოქეთა ლიდერებისა და რიცხვმრავლობის ბრიგადების შეჩერება. მაგრამ შექმნილმა მძიმე სიტუაციამ (ჯო საკიკის ტრავმას ფორსბერგის დაშავებაც დაემატა) „ეველანშის“ ხელმძღვანელები აიძულა, ახალშექმნილ ტრიოში ფიცჯერალდი კამენსკისა და კლოდ ლემიეს გვერდით გაემწესებინათ და მანაც, სრულიად მოულოდნელად, სნაიპერული თვისებები გამოავლინა. ანაჰაიმთან შეხვედრის მეორე პერიოდის შუახანს, როცა თამაშის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ფორვარდმა ზედიზედ ორი შაიბა შეაგდო, აქედან ერთი — უმცირესობაში, რითაც გუნდის მწვრთნელი მარკ კროუფორდიც კი გააოცა. თავად ფიცჯერალდმა მოკრძალებულად შეაფასა თავისი წვლილი და ეს იმით ახსნა, რომ პარტნიორებად სახელოვანი ჰოკეისტები ჰყავდა. სხვათა შორის, 5 მატჩში 8 ქულის დამგროვებელ ანაჰაიმს კვლავ გაუჩნდა პლეი ოფში გასვლის მინიმალური შანსი, მაგრამ ამ მარცხმა მეოცნებე „იხვები“ კვლავ დაუბრუნა რეალობას. ფიცჯერალდის გარდა, კოლორადოელთაგან საუკეთესო დედმარში (2+2, 22) გახლდათ, ტეემუ სელიანემ კი ამჯერად ვერაფრით გაახარა ქომაგები.

სანხოსელ კელი ჰრუდის უაღრესად არასტაბილური მეკარის სახელი აქვს ლიგაში, ერთადერთი დალასია, ვისთანაც სრულიად გარდაიქმნება ხოლმე და „ვარსკვლავებიც“, ბოლო ორი წელიწადია, ვერაფერს უხერხებენ ვეტერან გოლკიპერს. ამ კლუბების ბოლო თამაშში „ზვიგენებმა“ ტრადიციას უღალატეს და კარში ვერნონი დააყენეს, შედეგად კი 1:3 მოიმკეს. ამჯერად კალიფორნიელები კვლავ ენდნენ ჰრუდის და მანაც არ გააწბილა თანაგუნდელნი. ორი „მშრალი“ მატჩის შემდეგ ერთობ მობილიზებული და გამუდმებით მოიერიშე მეტოქე სანხოსელთა კარის დარაჯმა ზედიზედ მეშვიდედ დატოვა ხელმოცარული (5 მოგება და 2 ფრე). მეორე ვეტერანმა — გრენატომ 2 შაიბა მიითვალა.

პლეი ოფის საგზურს რეალურად მიახლოებული კაროლინა იმდენად გათამამდა, რომ სტუმრად ზედიზედ მესამედ იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა, რომელთაც „მფრინავთათვის“ ფილადელფიაში აგერ უკვე სამი წელია, არ მოეგოთ, პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე და მეორე პერიოდის ათი წუთის განმავლობაში სამჯერ გაანაწყენეს მასპინძლები. მეორე დღეს კი „ქარიშხლების“ მოედანზე ფილადელფიელებმა მოწინააღმდეგეს სიურპრიზი მოუმზადეს ექს-კაროლინელი მეკარის შონ ბურკის სახით, რომლის მოტყუებაც მხოლოდ ახალშეძენილმა რეი შეპარდმა (15) შეძლო. ამას სტუმრებმა 3 შაიბით უპასუხეს და ორივე შეხვედრაში გამორჩეულმა ლეკლერმა (1+1) თავისი სასნაიპერო მარაგი 44 გოლამდე გაზარდა.

ფლორიდელები ამასწინანდელმა მოგებამ გონს მოიყვანა — უქმეებზე „პანტერებმა“ კიდევ ორჯერ გაიმარჯვეს. ბოსტონთან შეხვედრაში ძირითადი დროის დამთავრებამდე ოცი წამით ადრე გუნდის კაპიტანმა მელანბიმ (13) გაათანაბრა ანგარიში, ოვერტაიმში კი ლინდსეიმ ისახელა თავი. მომდევნო მეტოქის — ჩიკაგოს ძლევა ფლორიდელებს არ გასჭირვებიათ: კოზლოვ (2+1, 14) — განიე (1 პასი) — დვორჟაკის (1+1, 10) სამეულის 3 შაიბისა და მეკარე ვანბისბრუკის (მე-4 „შათაუტი“) წყალობით „ქორები“ სეზონში მე-11-ედ დარჩნენ მშრალზე.

არადა, მანამდე ჩიკაგოელებმა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს ოტავას. ჩემპიონატში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა რუსმა პლეიმეიკერმა ალექსეი ჟამნოვმა (1+1, 17), რომელმაც შარშან ჩიკაგოში გადასვლის შემდეგ ვერა და ვერ გამოიყენა თავისი დიდი პოტენციალი.

ლიგის საუკეთესო მეკარეები — ბუფალოელი ჰაშეკი და ნიუჯერსელი ბროდო დაუღალავად ილვწიან და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან „შათაუტების“ მოგროვებაში. „ეშმაკმა“ ბროდომ, რომელსაც გუნდის ხელმძღვანელები, ფაქტობრივად, შეუცვლელად ათამაშებენ, შაბათს ფინიქსელთა 26-ვე დარტყმა მოიგერია და ზედიზედ მე-2 „მშრალ“ მატჩს (სეზონში მე-10) ჩემპიონატში 42-ე გამარჯვებაც დაუმატა. სრულიად მოსალოდნელია ისიც, რომ დაემხოს ლიგის ერთ-ერთი უძველესი რეკორდი — ფილადელფიელი ბერნი პარენტის 47 მოგება.

ჰაშეკი კი ნჰლ-ის კიდევ ერთ მოძველებულ რეკორდს ემუქრება. ედმონტონთან მორიგი, მე-12 „შათაუტის“ შემდეგ მას სახელოვანი ტონი ესპოზიტოს მიღწევისგან სულ სამი ნაბიჯი აშორებს. ბუფალოს კი ერთადერთი შაიბით სლოვაკმა შატანმა (22) მოაგებინა.

„დედლაინზე“ კლუბგამოცვლილმა ჯესონ უიმერმა ზედიზედ მეორედ ახეირა თავისი ახალი კლუბი, ტორონტოს გამარჯვება ლოს ანჯელესთან კი ასევე „ტრეიდზე“ ნაყიდმა სილვენ კოუტმა განაპირობა. აღსანიშნავია, რომ კოუტმა, რომელმაც თითქმის მთელი კარიერა ვაშინგტონში გაატარა და დიდი შედეგიანობით არ გამოირჩეოდა, ახალ კლუბში 2 მატჩში 4 (1+3) ქულა შეიძინა, ხოლო გამარჯვების გოლი დამატებითი დროის დამთავრებამდე 4 წამით ადრე გაიტანა.

გამოჯანმრთელებულმა ვინსენ დამფუსმა (3+1, 8, მე-2 ჰეთ-თრიქი სეზონში) და მისმა პარტნიორებმა შავი დღე აყარეს აუტსაიდერ ტამპას. სხვათა შორის, მონრეალი ერთადერთი გუნდია, რომელმაც წლეულს ორჯერ შეძლო 8 შაიბის შეგდება.

ძალიან გვიან გააქტიურდა რეინჯერსის ფორვარდი ალექსეი კოვალიოვი. რუსმა უეინის დახმარებით 2 გოლი მიითვალა, მაგრამ ნიუიორკელებმა მხოლოდ ფრეს მიაღწიეს და კიდევ უფრო დაშორდნენ თავიანთ მიზანს — სანატრელ რვეულში მოხვედრას.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 91 (32+59), ფორსბერგი (კოლორადო) 85 (22+63), სელიანე (ანაჰაიმი) 83 (50+33), ბურე (ვანკუვერი) 81 (45+36), გრეცკი (რეინჯერსი) 81 (20+61), ფრენსისი (პიტსბურგი) 79 (21+58), ლეკლერი (ფილადელფია) 76 (44+32), ელისონი (ბოსტონი) 74 (30+44), ფლერი (კალგარი) 72 (26+46), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 71 (20+51), პალფი 70 (37+33), ოუთსი (ვაშინგტონი) 70 (16+54), ლინდროსი 68 (28+40), ბრინდამორი (ორივე — ფილადელფია) 67 (32+35), რექი (მონრეალი) 66 (30+36), ამონტე (ჩიკაგო) 66 (27+39)

მეკარეთა „მშრალი“ მატჩები: ჰაშეკი (ბუფალო) 12, ბროდო (ნიუ ჯერსი) 10, ბელფორი (დალასი) 9, ჰუკეტი (ჩიკაგო) 8, ბარასო (პიტსბურგი) და ჯრეფი (ედმონტონი) 7, დაფო (ბოსტონი) და ოსგუდი (დეტროიტი) 6.

# მაკლარენი და სხვები

**ფორმულა 1**
**II ეტაპი**
**ბრაზილიის დიდი პრიზი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ბრაზილიის დიდი პრიზის ოფიციალური ვარჯიშების წინ „ფერარიმ“, „ეროუსმა“ და „ტირელმა“ პროტესტი გამოთქვეს მუხრუჭების იმ სისტემის გამო, რომელიც „მაკლარენმა“ ავსტრალიის ეტაპზე გამოიყენა, ხოლო „უილიამსმა“ და „ჯორდანმა“ ახლახან დაამონტაჟეს თავიანთ ბოლიდებზე. მომჩივანთა აზრით, ეს სისტემა დადგენილი ტექნიკური მოთხოვნების დარღვევა გახლდათ. ტექნიკურმა კომისიამ სისტემა არალეგალურად სცნო (თუმცა კი ფია-ს წარმომადგენლებსა და „მაკლარენის“ ხელმძღვანელობას მაინც სჯეროდათ, რომ სისტემა არ არღვევს ტექნიკურ მოთხოვნებს) და „დამნაშავეებმა“ თავიანთი ბოლიდები ჩვეულებრივი მუხრუჭებით აღჭურვეს. ამას არ შეუშლია ხელი რონ დენისის ბიჭებისთვის, კვლავ განუკითხავად ებატონათ ტრასაზე. ჯერ ვარჯიშზე აჩვენეს საუკეთესო დრო, შემდეგ კი კვალიფიკაციაზე ჰაკინენმა წრე 1.17,092 (200,475 კმ-სთ) გაიარა და თანაგუნდელი 0,665 წამით ჩამოიტოვა. ამ დუეტის გარდა 1 წუთსა და 18 წამზე ნაკლები დროის ჩვენება ვერავინ შეძლო და მესამე პოზიციის მფლობელი ფრენცენი ლიდერს 1.017 წამით ჩამორჩა.

სუსტად იასპარეზა ვილნევმა, რომელიც ამჯერად მე-10 სასტარტო პოზიციას დასჯერდა. ვერც „ჯორდანის“ ბიჭებმა ივარგეს და მათაც შუა რიგებში ხვდათ ადგილი. კვალიფიკაციის შემდეგ რბოლის მარშლებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე პილოტმა ასპარეზობისას ყურადღება არ მიაქცია გამაფრთხილებელ ალმებს და ამის გამო შეიძლებოდა მათი საუკეთესო შედეგის გაუქმება. მათ შორის ჰაკინენიც აღმოჩნდა, თუმცა მის პოულს მაინც არაფერი დაემუქრებოდა, რადგან მისი უარესი დრო მაინც უნარჩუნებდა პირველ სასტარტო პოზიციას. მაგრამ დანაშაულს სანქცია არ მოჰყოლია და მრბოლები სტარტზე ასე განლაგდნენ:

*1. ჰაკინენი* 1.17,092; *2. კულჰარდი* 1.17,757; *3. ფრენცენი* 1.18,109; *4. მ. შუმახერი* 1.18,250; *5. ვურცი* 1.18261; *6. ირვინი* 1.18,449; *7. ფიზიკელა* 1.18,652; *8. რ. შუმახერი* 1.18,735; *9. პანი* 1.18,753; *10. ვილნევი* 1.18,761; *11. ჰილი* 1.18,988; *12. ტრული* 1.19.069; *13. ბარიჩელო* 1.19,344; *14. ჰერბერტი* 1.19.375; *15. ალეზი* 1.19,499; *16. მაგნუსენი* 1.19,644; *17. ტაკაჯი* 1.20,203; *18. ნაკანო* 1.20,390; *19. ტუერო* 1.20,459; *20. სალო* 1.20,481; *21. როსეტი* 1.20,748; *22. დინიცი* 1.20,847.

როგორც მოსალოდნელი იყო, „მაკლარენის“ დუეტი სტარტიდანვე დაწინაურდა. პირველი წრის შემდეგ ჰაკინენი 1,07 წამს უგებდა კულჰარდს. მშვენივრად დაიწყეს რბოლა ირვინმა და ვილნევმა. პირველმა მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონმა მეშვიდეზე, რალფ შუმახერმა კი პირველივე მოსახვევში დაასრულა ასპარეზობა.

ლიდერთა მდევრები მცირე ჯგუფებად დანაწილდნენ და ერთმანეთში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. წინა ეტაპისგან განსხვავებით, ეს რბოლა უფრო საინტერესო გამოდგა. პილოტებმა გასწრების უნარიც გამოავლინეს და სპორტული ჟინიც. შუმიმ მალევე ჩამოიტოვა თანაგუნდელი და ფრენცენს აეკიდა, რომელიც ამ დროს ლიდერთან უკვე 15,8 წამს აგებდა. ვილნევი ვურცს უტევდა, მაგრამ უშედეგოდ — ახალგაზრდა ავსტრიელი ამ დღეს საუცხოოდ ასპარეზობდა. ლიდერებმა ისე შეივსეს საწვავი, მათ პოზიციებს არაფერი დამუქრებია, მათ უკან კი პიტ-სტოპმა სიტუაცია საკმაოდ არია. ვილნევი მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა, თუმც კი პანი იქვე ჩამოიტოვა და ირვინს შეუტია, მარცხენა მოსახვევში შესვლისას ამასაც გაუსწორდა, სტარტ-ფინიშის სწორის ბოლოს ალეზისაც გაასწრო და მეშვიდე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამ დროს მესამე ვურცი გახლდათ, რომლის გასწრებასაც შუმახერი ცდილობდა, მაგრამ კარგა ხანს ვერაფერს უხერხებდა „ბენეტონის“ პილოტს. ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს პაექრობა, ვურცს ბოქსებში რომ არ შეეხვია. იქიდან დაბრუნებული ავსტრიელი ფრენცენის უკან აღმოჩნდა, გაბედულად შეუტია მას და მარცხენა მოსახვევში შესვლისას შესანიშნავი მანევრით ჩამოიტოვა კიდეც გერმანელი.

ამის შემდეგ მოწინავეთა რიგებში არაფერი შეცვლილა. ჰაკინენს პირველი წრიდან ფინიშამდე ხელიდან არ გაუშვია პირველობა და სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა. კულჰარდმა მეორე პოზიციით კიდევ უფრო განამტკიცა „მაკლარენის“ უპირატესობა. დანარჩენთაგან საუკეთესო მიხაელ შუმახერი გახლდათ. გამორჩევის ღირსია ალექს ვურცი, რომელმაც დაამტკიცა, რომ მის „ბენეტონს“ შეუძლია „ფერარისა“ და „უილიამსის“ ბოლიდებს გაეჯიბროს, თუმც კი „მაკლარენი“ „ვერცხლისფერ“ დუეტს მაინც ჩამორჩება.

გამარჯვებულმა და ჩემპიონატის ლიდერმა რბოლის შემდეგ განაცხადა: „გამიმართლა და თავიდანვე დავწინაურდი. ტრასის ხასიათის გამო ვიცოდი, რომ კულჰარდს გაუჭირდებოდა ჩემთან მიახლოება. ჩვენ ერთი პიტ-სტოპი დავგეგმეთ და ამანაც გაამართლა“. მესამე პრიზიორმა შუმახერმა კი იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო ეტაპზე, არგენტინაში, პირველობისთვის ბრძოლა გამწვავდება.

**ალეკო ჭაბუკიანი**

**რბოლის შედეგები**

ბრაზილიის დიდი პრიზი
29 მარტი. ინტერლაგოსი. სან პაულუ

დისტანცია — 72 წრე — 309.024 კმ

| | | |
|---|---|---|
| *1. ჰაკინენი* (მაკლარენ-მერსედესი) | 1:37.11,747 (190.763 კმ/სთ) | 10 ქულა |
| *2. კულჰარდი* (მაკლარენ-მერსედესი) | ჩამორჩა 1,102 წმ | 6 ქულა |
| *3. მ. შუმახერი* (ფერარი) | 1.00,550 | 4 ქულა |
| *4. ვურცი* (ბენეტონ-მეკაქრომი) | 1.07,453 | 3 ქულა |
| *5. ფრენცენი* (უილიამს-მეკაქრომი) | 1 წრით | 2 ქულა |
| *6. ფიზიკელა* (ბენეტონ-მეკაქრომი) | 1 წრით | 1 ქულა |
| *7. ვილნევი* (უილიამს-მეკაქრომი) | 1 წრით | |
| *8. ირვინი* (ფერარი) | 1 წრით | |
| *9. ალეზი* (ზაუბერ-პეტრონასი) | 1 წრით | |
| *10. ჰილი* (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) | 2 წრით | |
| *11. მაგნუსენი* (სტიუარტ-ფორდი) | 2 წრით | |

**საუკეთესო წრე**

*ჰაკინენი* — 1.19,337
(194,75 კმ/სთ; 64-ე წრე)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| *ჰერბერტი* (ზაუბერი) გაიარა | 67 წრე |
| *პანი* (პროსტ-პეჟო) | 64 |
| *ბარიჩელო* (სტიუარტ-ფორდი) | 56 |
| *როსეტი* (ტირელ-ფორდი) | 52 |
| *ტუერო* (მინარდი-ფორდი) | 44 |
| *დინიცი* (ეროუსი) | 26 |
| *ტაკაჯი* (ტირელ-ფორდი) | 19 |
| *სალო* (ეროუსი) | 18 |
| *ტრული* (პროსტ-პეჟო) | 17 |
| *ნაკანო* (მინარდი-ფორდი) | 3 |
| *რ. შუმახერი* (ჯორდან-მუგენ ჰონდა) | 0 |

*დეიმონ ჰილი დისკვალიფიცირებულია მანქანის დასაშვებზე ნაკლები წონის გამო*

**პირადი პირველობა**

1. ჰაკინენი 20 ქულა; 2. კულჰარდი 12; 3. ფრენცენი 6; 4. შუმახერი 4; 5-6. ვურცი და ირვინი 3-3; 7. ვილნევი 2; 8-9. ჰერბერტი და ფიზიკელა 1-1

**გუნდური პირველობა**

1. მაკლარენი 32 ქულა; 2. ფერარი 9; 3. უილიამსი 8; 4. ბენეტონი 4; 5. ზაუბერი 1



# პირველი ჩილელი პირველი

კი ბისკეინი. აშშ. ლიპტონის ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 4,6 მილიონი $

**ფინალი: მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ანდრე აგასი (29, აშშ) 7:5, 6:3, 6:4**

კამერებისკენ ზურგით მდგარმა დაბალმა კიკინიანმა ჩოგბურთელმა ბურთი მოაწოდა, რომლის მიღებაც კორტის მეორე ბოლოში დადარაჯებულმა ხოტორა მეტოქემ წესიერად ვერ მოახერხა, ბურთი უკანა ხაზს გადასცდა და კიკინიანმაც გამარჯვების ნიშნად ხელები მაღლა ასწია, მერე ჩოგანი მთელი ძალით ტრიბუნებზე მოისროლა და ხანგრძლივი მატჩის განმავლობაში პირველად გაიღიმა: ასე შეიქნა ჩილელი მარსელო რიოსი ზედიზედ მეორე „მერსედეს ზე-ცხრის“ ტურნირის გამარჯვებული და ისტორიაში მეთოთხმეტე პირველი ჩოგანი, პირველი ჩილედან, პირველი სამხრეთ ამერიკიდან...

კვირა ღამის ლიპტონურ ფინალს ოქროს ფასი ედო — გამარჯვებით მსოფლიოს მესამე ჩოგანი რიოსი კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის 102-კვირიან ბატონობას ბოლოს მოუღებდა და 360 ათას დოლარსაც ჩაიჯიბავდა, წაგების შემთხვევაში კი მხოლოდ მეორე ადგილს დაკმაყოფილდებოდა. სამაგიეროდ, ანდრე აგასი ზე-ცხრების ისტორიაში ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელი გახდებოდა 10 ტიტულით.

ჩილეში მოუთმენლად ელოდნენ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ადამიანად ქცეული რიოსის თამაშს. ბევრმა თანამემამულის გასამხნევებლად ცხრასაათიანი ფრენაც არ დაიზარა სანტიაგოდან მაიამიმდე. კი ბისკეინის ცენტრალური კორტის იაფფასიანი ზედა ტრიბუნები მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე პირთამდე გაივსო ეროვნული დროშით ხელში მოღრიალე ჩილელებით.

მარსელომ თავისიანები არ დაალალატა და შესანიშნავი სტარტი აიღო — 3:0, 4:1, მაგრამ მატჩის წინ ფავორიტად შერაცხულმა აგასიმ თავი გამოიდო და ანგარიში გაათანაბრა — „ჩი-ლე“, „ჩი-ლე“ პირველად და უკანასკნელად გადაფარა რიხიანმა „იუ-ეს-ეიმ“. მატჩის უმნიშვნელოვანესი გეიმი პირველ სეტში, რიოსის სასარგებლოდ, 6:5-ზე გათამაშდა. აგასი ტაიბრეიკის გასახერხებლად ფრიად გაისარჯა, ჯერ ერთი სეტ-პოინტი გადაარჩინა, მერე მეორე, მესამე, მაგრამ მარჯვენა კვადრატიდან რიოსის შესანიშნავ მიღებებს ვერაფრით გაუმკლავდა, ანერვიულდა და მეოთხე სეტ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა, რაც მოგვიანებით მზეს გადააბრალა... მატჩიც ფაქტობრივად მაშინ მორჩა. ლიპდაგდებული, მაგრამ ფიზიკურად მაინც წაკოჭლებული ანდრესთვის აღმაფრენით მოთამაშე ჩილელისთვის სამი პარტიის მოგება ჰერკულესის 10 გმირობაზე მძიმე იქნებოდა.

დარჩენილი დრო „ჩილელ აგასად“ წოდებულის მიერ ნამდვილი აგასის გაბითურებაში გაილია — რიოსი მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს თოჯინასავით ათამაშებდა, ტემპის მუდმივი ცვლილებით მოსვენებას არ აძლევდა, მოჭრილებს ხაზებზე დასმულ მძლავრ ფორჰენდ-ბექჰენდებს უნაცვლებდა, ბადესთანაც წარმატებით გადიოდა და ზუსტ შემოვლებებსაც არ აზანებდა. ის კი არა, მარსელომ ორი გათამაშება გაწყვეტილი სიმითაც მოიგო და მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მიმღებად შერაცხულ ანდრეს, მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი



ანდრე აგასი

ბრეიკ-პოინტი რომ გაახერხა, 12 ეისიც ჩაუგდო. ...აგასის ცოდვით ლამის მთელი კი ბისკეინი დაიწვა.

„ასე მოგებაზე, თანაც ფინალში თვით აგასის დამარცხებაზე უკეთესს ვერც კი ვინატრებდი... ჩილესთვის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის ყოლა თითქმის ანომალურია, მე ამით კიდევ უფრო ვიამაყებ“ — თქვა გამარჯვებულმა მატჩის შემდეგ. რიოსი აგასიმაც შეაქო, ძალზე მოვტყუვდი, მეგონა, 1,75 მეტრი სიმაღლის კაცს თავზე გადავუვლიდი, მაგრამ პირიქით კი მოხდა, მარსელო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც „დიდი“ აღმოჩნდაო. თუმცა ანდრემ ისიც დაუმატა, ეს პირველობა დამსახურებული კია, მაგრამ ბევრს არაფერს ნიშნავს, სხვების თვალში რიოსი საუკეთესო მაშინ გახდება, დიდი სლემის ტურნირს რომ მოიგებსო.

...თუმცა მარსელოს მშობლიურ სანტიაგოში ასე არ ფიქრობდნენ. — ფინალის შემდეგ ცხელ ქუჩებს ათასობით ჩილელი მიაწყდა საზეიმოდ, აივნები და ფანჯრები ეროვნული დროშებით აჭრელდა, მანქანებმა სიგნალებით აიკლეს ყველაფერი, ქალაქის ცენტრში, საფეხბურთო გმირობათა აღნიშვნის ადგილზე, გადაჭედილი მოედანი ერთხმად ღრიალებდა „რიოსი, რიოსი, ნომერი პირველი“.

კითხვა კი მხოლოდ ერთი შეიძლება გავიჩნდეს: ნომერი პირველი, მაგრამ რამდენი ხნით?

**ავთანდილ სვანიძე**



# ლენოქსი იგებს და ელის

საბჭოს ჩემპიონ ლენოქს ლუისს არაფერი უჭირს ცხოვრებაში და რინგზე. ერთი ოცნება აქვს, ევანდერ ჰოლიფილდს დაეჯახოს, ძირს დასდოს და სამხრეთელი ვაჟკაცი და მისი ქამრები დაითავისოს. ეს საქმე კი არ გამოდის, ქრისტესრაინდად წოდებულ ჰოლიფილდს ძვირად უღირს თავისი ქამრები, ამბობს, საკაბელო ტელევიზიამ ამდენი და ამდენი უნდა გადამიხადოს, ლენოქსთან ჩხუბს რომ დავყაბულდეო.

ამიტომ ამათი ჯახის საკითხი ღიად არის დარჩენილი.

მანამდე კი, ლენოქს ლუისი ტიტულის დასაცავ ორთაბრძოლებს მართავს. ერთ-ერთი ასეთი შაბათსაც იყო — ატლანტიკ სიტის რინგზე ლუისი ბოლოხანს წამოჩიტულ შენონ ბრიგსს შეხვდა.

იყო დრო, როცა ეს ბრუკლინის უუბადრუკეს უბან ბრაუნსვილში ქუჩის ბიჭად გაზრდილი ბრიგსი იმედისმომცემ მოკრივედ ითვლებოდა. უფრო სწორად, ამბობდნენ, ბრიგსი ვარსკვლავებს დასცემსო, მაგრამ იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ასთმამორჩენილი, ცხოვრებაარეული ბრიგსი შარშანლა გამოჩნდა რინგზე და ძია ჯორჯ ფორმენზე საეჭვო გამარჯვებით აახმაურა მედია.

ლუისმა დიდხანს არ ალაპარაკა ბრიგსი. ორთაბრძოლა არასრულ ხუთ რაუნდში მოუთავა სამი ნოკდაუნით, ოთხმილიონნახევარი ჩაიდო ჯიბეში და წავიდა თავის გზაზე. ტვინშერყეული ბრიგსიც არ დარჩენილა ჯილდოს გარეშე, 1,5 მილიონი მასაც ერგო.

ლუისი კი კვლავ ჰოლიფილდთან ჩხუბზე ფიქრობს. მისი მწვრთნელი იმანუელ სტიუარდი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ლუისის დარი მძიმეწონოსანი ახლა დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება. ლენოქსს ერთადერთხელ წაუგია ცხოვრებაში და ისიც ისეთ დარდუბალა კაცთან, როგორიც ბოლოდროს ფსიქიატრთა ხელში მოხვედრილი, რინგზე უმიზეზოდ ატირებული ოლივერ მაკკოლია. ძაღლის თავიც აქ არის დამარხული: მაშინ მაკკოლის მწვრთნელი სწორედ რომ სტიუარდი იყო. ჰოდა ამის შემდეგ იყო, რომ ლუისმა იმანუილი აიყვანა მწვრთნელად და მისი საქმეებიც მაღლა-მაღლა წავიდა. ორი გოლიათის, ლუისისა და ჰოლიფილდის შერკინებას ერთი ოღრაში კაცი სჭირდება.

ამ კაცის სახელი ყველამ იცის — დონ კინგი. მაგრამ ერთი რომ, არც ერთ მოკრივეს კინგი გულზე არ ეხატება, და მეორეც, დონს ჯერჯერობით ვერ მოუცლია ამ დიდ ორთაბრძოლაზე სამუშაოდ. ახლა კინგი სასამართლოებში დაიარება, რადგან ცალკერძ მაიკ ტაისონმა უჩივლა მანჰეტენის სასამართლოში, ცალკერძ ლონდონის უმაღლეს სამსჯავროში აუხტა ძველი კომპანიონი ფრენკ უორენი. კინგმა ლონდონური პროცესი მოიგო, მაგრამ აპრილის თვეში დიდი ხმაური ელის მანჰეტენში. ამიტომ ლუისი კვლავ ფარჩაკთა ძლევით უნდა დატკბეს.

თუმცა, როგორც ლუისის მოძულე ამერიკული საკრივო მედია იუწყება, ჰოლიფილდმა უნდა დაუკლოს თავის საკაბელო კონტრაქტის ფასს, რადგან ლუისის შემხედვარე, მასთან წაგების რისკი დიდი არ არის.

ლუის-ბრიგსის შერკინებაში პირველ ორ რაუნდს ლენოქსი მთვლემარედ გამოიყურებოდაო, მიაჩნიათ ამერიკელებს. ყოვლად შეუძლებელია ასეთი განწყობით ჰოლიფილდის დამარცხებაო. თუმცა, ლუისი არაფ აგდებს მედიის კირკიტს: „ბრიგსმა ცხვირშეჭყლეტილი ბრიტანელი მიწოდა და ამან გამაბრაზა. ისე კი, ვიცოდი, რომ მასზე მაღალი კლასი მაქვს“.

ბრაუნსვილელმა ქერა ზანგმაც არ გაიტეხა იხტიბარი და როგორც წაგებულებს სჩვევიათ, ისე აღწერა ჩხუბი, სამყაროს უდიადეს მებრძოლს ვეკრივე და ამისდამიუხედავად გულნატკენი ვარ, რადგან რეფერიმ, ფრენკ კაპუჩინომ არ დამაცადა ფრთების გაშლაო.

საყოველთაო აღიარებით კი, კაპუჩინომ რინგზე სიკვდილი არ დააცადა ბრიგსს.

ასეა თუ ისე, ლუისს უფრო სხვაგან გაეხარდებოდა თავისი მარცხენა-მარჯვენა-მარცხენა-მარჯვენა კომბინაციის აგრე ილბლიანად დამთავრება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29